დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მარიამ ხუციშვილი

წევრები:

ნინო ბეგაშვილი
მზევინარ დარბაისელი
აკაკი სადუნიშვილი
ია გაგნიძე
ეთერ ქუთათელაძე
ავთანდილ ცნობილაძე
მარიამ ჯვარიძე
გიორგი ბერძულიშვილი
ქეთევან ცირეკიძე
მიხეილ გაფრინდაშვილი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	240891246

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქარელი, სოფელი დირბი
ფაქტობრივი მისამართი	ქარელი, სოფელი დირბი
საფოსტო ინდექსი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	dirbi@mes.gov.ge

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	598779717

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 0 25 0000560926
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	19.06.2025 - 20.06.2025

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო	დაწყებითი	ქართული	ქარელი, სოფელი დირბი

	პროგრამა;			
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქარელი, სოფელი დირბი
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქარელი, სოფელი დირბი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება

	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა:	☐	

500	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ	რეკომენდაცია: სკოლის ეზოში განთავსებული უმოქმედო ღია აუზის დეტიროტიის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე სპორტული დარბაზის ფანჯრებისათვის ბურთებისაგან დამცავი საფარის მოწყობა.

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
3.5.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	რეკომენდაცია: სკოლამ სრულად აღჭურვოს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისთვის განკუთვნილი ლაბორატორია
3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	რეკომენდაცია: პანდუსების მოწყობის უზრუნველყოფა შენობის მეორე და მესამე სართულზე დამაკავშრებელ კიბეებზე.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
1.1.1.3	**სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**	**რჩევა** - სასურველია განხორციელებული პროცესები და სკოლის მიერ შექმნილი დოკუმენტაცია იყოს თანხვედრაში.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.5.1.3	**სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**	***<u>რჩევა</u>*** *- სასურველია, ბიბლიოთეკარმა ელექტრონულად აღრიცხო წიგნთა ფონდით გათვალისწინებული ყველა სახელმძღვანელო და ასე აღრიცხვაზე აიყვანოს სოფლის ბიბლიოთეკის* ***წიგნთა ფონდი.***
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*

ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	*<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u> – სასურველია, **სამივე საფეხურის** საგნობრივი კურიკულუმები იყოს ერთი სტრუქტურის და ამასთან ერთად, გამორჩენილი გრაფები შეივსოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ასევე სასურველია, რომ კურიკულუმის ჩარჩოში ასახული შემოქმედებითი დავალების ეტაპებაბად ჩაშლილი დოკუმენტი გამომდინარეობდეს ჩარჩოში მოცემული დავალებებიდან.*
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	*<u>სპორტი</u> – სასურველია, **დაწყებითი** საფეხურის სასწავლო პროცესმ გათვალისწინებული იყოს ტანვარჯიშის სწავლება. საბაზო და საშუალ საფეხურზე დაემატოს თემა: მძლეოსნობა .*
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	*<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u> – **სამივე საფეხურის** ფარგლებში ყურადღება მიექცეს შედარების მაგალითების კომპონენტს. წარმოდგენილი მაგალითები უმეტესად არის საკითხი, შეკითხვა ან საეტაპო აქტივობა. განიხილეთ იგივე საკითხი (რასაც შეისწავლით კომპლექსური დავალების ფარგლებში), სხვა კონტექსტში წარმოდგენილი. მაგალითად: ბიოლოგიის კურიკულუმში შესასწავლი საკითხი - მიკროორგანიზმების როლი, განხილულია შემდეგ კონტექსტში - მიკროორგანიზმები , ბუნების დიდი მესაფლავეები. შედარების მაგალითშიც ისევ ეს კონტექსტია წარმოდგენილი. შეიძლება იყოს ასე: მიკროორგანიზმები კვების მრეწველობაში.*
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	*<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u> – სასურველია, **სამივე საფეხურის** რომ საკითხთა კლასტერები და შედარება მაგალითებისთვის ერთმანეთს უფრო*

		მეტად მიემართებოდეს, ასევე შესაძლებელია საგნობრივი ცნებები მეტად მოერგოს საგნობრივ საკითხებსა და გადანაწილდეს ისე, რომ კონკრეტული ცნება/ცნებები საკითხის ფარგლებში მკაფიოდ მუშავდებოდეს, იგივე ეხება კონტექტსმაგალითებს. *ისტორიის საგნობრივი კურიკულუმი სასურველი და შესაძლებელია ისე მოდეფიცირდეს, რომ მასში მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი საგნოვრივი საკითხები, რომლებიც თემებშია წარმოდგენილი და ამასთან ერთად, განისაზვროს რომელი ცნებები მუშავდება საკითხებთან მიმართებით.* *ჩვენი საქართველოს სასწავლო კურიკულუმებში სასურველია შეიცვალოს საკითხთა კლასტერები და კონტექსტ-მაგალითები, რასაც დაეფუძნება შემოქმედებითი ტიპის დავალება .*
ინდიკატორი **2.1.2.2**	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	***<u>უცხოური ენები</u> – სამივე საფეხურის*** *მასწავლებლებს მიეცათ რჩევა მოახდინონ ცნებების დამუშავება სხვადასხვა თემის ფარგლებში.*
ინდიკატორი **2.1.2.2**	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	***<u>ესთეტიკური აღზრდა -</u> სამივე საფეხურის*** *კურიკულუმის შედგენის დროს სასურველია გათვალისწინებული იყოს საათობრივი ბადე და პედაგოგებმა იმის მიხედვით შეადგინონ დაწყებით საფეხურზე, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, სავალდებულოა სამი თემატური ბლოკი , რომლიც უნდა იყოს სრულად დაფარული,* ***საშუალო საფეხურზე,*** *სადაც ხორციელდება პროექტული სწავლება (მუსიკა/ხელოვნება) სასწავლო წლის მანძილზე უნდა განხორციელდეს თითოეულ საგანში ორი პროექტი, საჭიროა მათი კურიკულუმების შექმნა.*

ინდიკატორი 2.12.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	***<u>სპორტი</u>*** *–* ***სამივე საფეხურის*** *კურიკულუმით განსაზღვრულ თემებს სასურველია, დაემატოს როგორც ფიზიკურ აქტივობაზე ორიენტირებული თემები, ასევე თემა, რომელშიც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება, (თეორია) რათა თემების საათობრივი ჯამი და საგნის წლიური საათების რაოდენობა თანხვედრაში იყოს ერთმანეთთან.*
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>*** *–* ***სამივე საფეხურის*** *კურიკულუმებში დაკონკრეტდეს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების რეკვიზიტები, ავტორი/ავტორები, გამომცემლობა, გამოცემის წელი.*
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>*** *– სასურველია,* ***სამივე საფეხურის*** *კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები გამრავლფეროვნდეს და ამასთან ერთად ჩაიშალოს საკითხთა კლასტერებისა და კონტექტს მაგალითების მიხედვით.*

	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.	
ინდიკატორი ***2.1.2.4***	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>*** *–* ***სამივე საფეხურის*** *მოწოდებულ დოკუმენტაციაში არსებული მოლოდინების ცხრილის მიხედვით (რომლებიც გაწერილია სამიზნე ცნებებთან მიმართებაში), შეიქმნას განმავითარებელი შეფასების ფორმები, რომლებსაც გარკვეული პერიოდულობით მიაწვდიან მშობლებს და მოსწავლეებს.*
ინდიკატორი ***2.1.2.4***	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	***<u>ესთეტიკური აღზრდა</u>*** *– მოსწავლის შესაფასებლად წინასწარ უნდა შეიქმნას შეფასების რუბრიკები* ***სამივე საფეხურზე,*** *(განმავითარებელი/განმსაზღვრელი).*
ინდიკატორი ***2.2.1.3***	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>*** *–* ***სამივე საფეხურის*** *განმავითარებელი შეფასების ნაწილში სკოლას მიეცა რჩევა, დოკუმენტაციაში წარმოდგენილი მოლოდინების ცხრილის მიხედვით შექმნას განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეფასების გამჭვრივალობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით.*

ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.	*<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u> – სასურველია, **სამივე საფეხურის** ფარგლებში უფრო მეტად დაიხვეწოს შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები და მათში მკაფიოდ იყოს ასახული კონკრეტული ინდიკატორები, რომლებიც შესაბამისი ზმენებით (დაკავშირება, შეფასება, გაანალიზება და ასე შემდეგ) იქნება წარმოდგენილი.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტები, კერძოდ შენობის მდგრადობის შესაბამისი დოკუმენტი და საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ. დაწესებულებამ
არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები. აღსანიშნავია, რომ რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც – „არ შეესაბამება“ ინდიკატორები 3.4.1.1 ინდიკატორი ექსპერტთა მხრიდან შეფასდა მეტწილად, ხოლო 3.5.1.1. და 3.5.1.4 ინდიკატორები „ ნაწილობრივი შესაბამისობით“.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.კერძოდ: მოსწავლე შექმნას ღირებულებები, შეძლოს დამოუკიდებლად ცხოვრება და გადაწყვეტილების მიღება, იზრუნოს მუდმივ განვითარებაზე და დაიცვას ქვეყნის ინტერესები.სკოლის მისიაა საზღვრისპირა რეგიონში მოსწავლეებისთვის მაღალი ხარისხის განათლების მიწოდება, რომელიც უზრუნველყოფს მათ აკადემიურ წარმატებას, პიროვნულ განვითარებასა და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას.
ხედვა - დირბის საჯარო სკოლა გახდება საგანმანათლებლო სანიმუშო ცენტრი საზღვრისპირა რეგიონში, რომელიც: აერთიანებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს ადგილობრივი კულტურული ტრადიციების პატივისცემასთან; ამზადებს მოსწავლეებს გლობალური გამოწვევებისთვის ადგილობრივი იდენტობის შენარჩუნებით; უზრუნველყოფს 21-ე საუკუნის უნარებზე დაფუძნებულ განათლებას სოფლის მოსახლეობისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

მისიიდან გამომდინარე, სკოლა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, რადგან მისიაში სკოლა მიზნად ისახავს ისეთი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის, რომელიც პასუხიმგებელი იქნება ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების, ისტორიული და კულტურული ღირებულებების მიმართ, ასევე მისიაში აქცენტი გაკეთებულია პიროვნული განვითარების მნიშვნელოვნებაზე. სკოლის ხედვაში ასევე ხაზგასმულია ადგილობრივი კულტურული ტრადიციების პატივისცემა და შენარჩუნება, რაც სოციო-კულტურული სივრცის მნიშვნელოვანი ასპექტია, ხოლო ღირებულებებში ასახულია დემოკრატიის, თანამშრომლობისა და გუნდურობის პრინციპები, რაც უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს შექმნის წინაპირობაა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლას სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბის საჯარო სკოლას მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში აღწერილი აქვს მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესი, რომელიც ითვალისწინებს სამუშაო ჯგუფის მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავებას; პროექტების გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის და თემისთვის (შესაძლებელია სამეურვეო საბჭოსთან წარდგენაც); მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინებას; მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო სახით ფორმირებას.

დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ინფორმაციის მიღების მიზნით განიხილა სკოლის მიერ შეგროვებული სტატისტიკური მონაცემების/ჩატარებული კვლევების ანალიზი და სკოლაში მიმდინარე სხვა პროცესების შეფასებისა და ანალიზის შედეგები. აღსანიშნავია, რომ მეთოდოლოგიის მიხედვით სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში უნდა იყოს მოსწავლე და მშობელი, თუმცა არსებულ სამუშაო ჯგუფის წევრები მხოლოდ სკოლის წარმომადგენლები იყვნენ. დირექციასთან საუბრისას დადგინდა, რომ სკოლის მისიის, ხედვის და ღორებულებების შემუშავების დროს განხორციელდა მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვა და შედეგები გათვალისწინებული იქნა შემუშავების პროცესში. აღნიშნულს ადასტურებს კვლევის ანალიზის დოკუმენტი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სასურველია განხორციელებული პროცესები და სკოლის მიერ შექმნილი დოკუმენტაცია იყოს თანხვედრაში.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილი აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების მექანიზმი, რომელშიდაც აღწერილია დოკუმენტის პროექტის სასკოლო საზოგადოების გაზიარების მექანიზმები: მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდება ბეჭდურ მასალებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებში; მისია, ხედვა და ღირებულებები განთასდება სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე; მისია, ხედვა და ღირებულებები გაჟღერებული იქნება სკოლაში დაგეგმილ შეხვედრებზე და ასევე გაზიარდება სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

---

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის დირბის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. ეს დოკუმენტები განთავსებულია სკოლის ვებ და სოციალურ გვერდებზე, ასევე გამოკრულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.დამატებით, სკოლა ახორციელებს საინფორმაციო შეხვედრებს, სადაც განიხილება სკოლის სტრატეგიული ხედვა და მიმდინარე ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ სკოლის სახელწოდებაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის დირბის საჯარო სკოლა“, რაც გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებიდან „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025-2032)
ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
სამუშაო ჯგუფის ოქმი
სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის დირბის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- ■ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სსიპ დირბის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შექმნის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს: მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების; მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცლილების შეტანის პროცესი; სტრატეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა 2025-2032 სასწავლო წწ. სატრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზანს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზით და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. იმისათვის, რომ სკოლამ რეალურად შეაფასოს არსებული მდგომარეობა იყენებს SWOT ანალიზს, სკოლის შესაძლებლობისა და გარემოს შესწავლის შემდეგ სკოლას დაგეგმილი აქვს იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით: ინფრასტრუქტურის განვითარება, ადამიანური რესურსის განვითარება, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება და ორგანიზაციული განვითარება. სკოლას ასევე განსაზღვრული აქვს თითოეული მიზნის მისაღწევი ამოცანები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახულია სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი მიზნების მიღწევისათვის საჭირო კონკრეტული ნაბიჯები და ეფუძნება ყოველწლიურ თვითშეფასებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილი 2024-2025 სასწავლო წლის გეგმა ეფუძნება სტარტატეგიული დაგეგმვის 7 წლიან გეგმით განსაზღვრულ სტრატეგიულ მიმართულებებს. გეგმაში განსაზღვრულია მიზნის შესაბამის ამოცანები, ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზოვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, რესურსები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025-2032) ;
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2024-2025).

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ დირბის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს ჩამოყალიბებულ მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. აღნიშნული უზრუნველყოფს როგორც სტრატეგიული გეგმის, ისე ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შესრულების სისტემატურ ზედამხედველობას და ეფექტიანობის შეფასებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლა გაახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში (საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც), ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხოცრილების შუაში და ბოლოს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლა გეგმავს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად განახორციელოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასება. დოკუმენტის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება ინკლუზიური პროცესის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს, მათ შორის: მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვებს; მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის თვითშეფასებებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

ადმინისტრაციის განცხადებით სკოლა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების სრულ საჯაროობას. ჩატარდება ღია ანგარიშგების შეხვედრები მშობლებთან, მოსწავლეებთან და თემის წარმომადგენლებთან, შედეგების პრეზენტაცია სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, ასევე ანგარიშები გამოქვეყნდება სკოლის ვებ გვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით სკოლა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების გამოყენებას გეგმავს შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025-2032) ;
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2024-2025).

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

  ■ შეესაბამება
  ☐ მეტწილად შეესაბამება
  ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
  ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით: სკოლის დირექტორი, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, ბუღალტერი, ადმინისტრატორი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, დამლაგებელი, დარაჯი, ცეცხლფარეში. კათედრები: სახელმწიფო ენის კათედრა, მათემატიკისა და ტექნოლოგიების კათედრა, უცხო ენების კათედრა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, დაწყებითი კლასების კათედრა, სპორტის და ესთეტიკური აღზრდის კათედრა. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები განსაზღვრულია „ ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის, ეროვნული სასწავლო

გეგმის, ასევე სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს დოკუმენტი სკოლის სტრუქტურული ერთეულები“, რომელშიც აღწერილია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები.
ყველა სტრუქტურული ერთეულისა და პირის ფუნქციები განსაზღვრულია სათანადო დოკუმენტაციით. სკოლაში არსებობს დეტალური სამუშაო აღწერილობები, დებულებები და რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს თითოეული სტრუქტურული ერთეულისა და თანამდებობის პირის პასუხისმგებლობებს, უფლებამოსილებებს, ანგარიშვალდებულებებსა და სამუშაოს შესრულების კრიტერიუმებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ: სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი. პედაგოგიურ საბჭოში შედიან საგნის მასწავლებლები. პედაგოგიური საბჭო ირჩევს თავის წარმომადგენლის დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში.

სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა. საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში, თანაბარი რაოდენობით შედიან მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს დისციპლინური გადაცდომები.

მოსწავლეთა თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა ინტერესებსა და უფლებებს. სკოლაში არსებობს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის, სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი რესურსცენტრის წარმომადგენლები.

სკოლა რეგულარულად მართავს ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრების აქტიურ მონაწილეობას სკოლის ცხოვრებაში, მათ შორის საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებს, სპორტულ აქტივობებს და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
სამეურვეო საბჭოს ოქმები;
სკოლის ფეისბუქ -გვერდი ;
მოსწავლეთა თვითმართველობის ოქმები;
მრჩეველთა საბჭოს ოქმი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლა პერსონალის მართვის პროცესში ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორის მიერ შემუშავებული და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესით და პერსონალთან დადებული ხელშეკრულებებით, ასევე სკოლაში მოქმედებს ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი. შინაგანაწესი არეგულირებს სამუშაოს ხანგრძლივობის, სამუშაო ადგილზე გამოცხადების, შრომის ანაზღაურების, შვებულების, შრომის პირობების დაცვის, წახალისების, დისციპლინური წარმოების საკითხებს და ა.შ. ხელშეკრულებაში ასახული არის მხარეთა უფლება – მოვალეობები, შვებულების გაცემის წესი, სამუშაო ადგილი და დასვენების დრო, შრომის ანაზღაურების, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა ა. შ . სკოლის პერსონალის მართვის პროცესი ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლაში მოქმედებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც მოიაზრებს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერას და შესაძლო პრობლემებზე დროულ რეაგირებას. პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება მონაცემთა რეგულარულ შეგროვებასა და ანალიზს, რაც საშუალებას იძლევა დროულად იქნას იდენტიფიცირებული როგორც ინდივიდუალური, ისე სისტემური საჭიროებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

დირბის საჯარო სკოლას შექმნილი აქვს "სკოლაში დასაქმებული პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნების" დოკუმენტი. . შერჩევის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ვაკანტური პოზიციების საჯაროდ გამოცხადება ; დეტალური სამუშაო აღწერილობისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მკაფიოდ ჩამოყალიბება; შერჩევის მრავალეტაპიანი პროცესი (დოკუმენტაციის გადარჩევა, გასაუბრება, საჭიროების შემთხვევაში - პრაქტიკული დავალება ან საჩვენებელი გაკვეთილი); შერჩევის კომისიის შექმნა, რომელშიც შედიან სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები; კანდიდატების შეფასების მკაფიო და ობიექტური კრიტერიუმები; უკუკავშირის მიწოდება ყველა კანდიდატისთვის. შერჩევის პროცესში უზრუნველყოფილია თანასწორობის პრინციპის დაცვა და დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის გამორიცხვა.
სკოლის თანამშრომლების ხელშეკრულებებში სრულად არ იყო მასწავლებლების ფუქნცია მოვალეობები გაწერილი რაც ვიზიტის პერიოდშივე გამოსწორდა და მასწავლებლებს გაუფორმდათ ახალი ხელშეკრულებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებული მასწავლებლებისა და თანამშრომლების კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიხედვით სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებს აქვთ ზოგადი განათლების შესახებ კანონით განსაზღვრული კვალიფიკაცია. ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებულია 35 მასწავლებელი (2 წამყვანი, 32 უფროსი, 1 მოწვეული).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში არსებული კოლეგიალური ორგანოები საგანმანთლებლო საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის გუნდური მუშაობის პრინციპით ფუნქციონირებენ. პედაგოგიური საბჭო ირჩევს თავის წარმომადგენელს სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინურ კომიტეტში. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს თანამშრომლებს შორის კოორდინირებულ მუშაობას. საგნობრივი კათედრები ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობენ კურიკულუმის შემუშავების და სასწავლო აქტივობების განხორციელების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესში გათვალისწინებულია სკოლაში დასაქმებული პირების წახალისების ფორმები. სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატეული გამოცდილების გაზიარება. პედაგოგები გამოცდილების გაზიარების მიზნით ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოდილებას, გეგმავენ და ატარებენ ურთიერთდასწრებას და სხვადასხვა ერთობლივ პროექტებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

საშტატო განრიგი;

საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსისი გამოცხადების შესახებ ბრძანებები;

საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმი;

თანამშრომლეთა პირადი საქმეები;

შრომითი ხელშეკრულებები;

eschool ბაზის მონაცემები;

სკოლის შინაგანაწესი;
კათედრის სხდომის ოქმი.

.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის/მონიტორინგის პროცესს. კათედრების ფარგლებში რეგულარულად ტარდება საჩვენებელი გაკვეთილები, რომლებზეც პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთს და ადგენენ პროფესიულ საჭიროებებს.ასევე სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვების(შეხვედრები), რაც სკოლას ეხმარება პერსონალის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად .**

სკოლა წარდგენილია პირველად ავტორიზაციაზე, რის გამოც ინდიკატორის მოთხოვნა არ შეფასდა.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, მასწავლებლებს ეძლევათ საშალება მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებში, ღონისძიებებში, აქვთ შესაძლებლობა და დამოუკიდებლობა გააკეთონ ღია გაკვეთილები. 2025-2032 წლების სტრატეგიული გეგმის და 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მიზანს პერსონალთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა წარმოადგენს. სკოლა ხელს უწყობს პერსონალთა გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად თანამშრომელთა და სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით გადამზადებისათვის ტრენინგებზე რეგისტრაციასა და დასწრებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, ახალი თანამშრომლებისთვის შემუშავებულია ადაპტაციის პროგრამა, რომლებიც ეხმარებიან ახალ კადრებს სკოლის კულტურასა და სისტემებში ინტეგრაციაში, ტარდება გაცნობითი შეხვედრები, სკოლა ახალ კადრს აცნობს სკოლის მარეგულირებელ დოკუემნტაციას . სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს მაძიებელი მსწავლებელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში მას დაეხმარება ტუტორი მასწავლებელი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მასწავლებლების ინიციატივებს და ამ მიზნით, კათედრების მომართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს მათ სხვადასხვა ტიპის რესურსით, როგორიცაა შესაბამისი ფართის გამოყოფა, სხვადასხვა საინფორმაციო ბანერების ან რუკების შესყიდვა და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასწავლო კურიკულუმები

შესწიდვის აქტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა მიმდინარეობს - დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი - შეფასება და რევიზიის მიხედვით. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში ტარდება კათედრების შეხვედრები, დგება წლის სამოქმედო გეგმა, რომლის საფუძველზეც სკოლის იქმნება სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელსაც ათანხმებს სამეურვეო საბჭოსთან და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების დროს სკოლა ხელმძღვანელობს სასკოლო სასწავლო გეგმით. სემესტრის

ბოლოს პედაგოგიურ საბჭოზე ხდება მიღწევების განხილვა და შედეგების ანალიზი. არსებული სიტუაციის გაუმჯობესების და რეკომენდაციის სამომავლოდ გათვალიწინების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია ნაწილობრივ სკოლის შინაგანაწესში და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.ძირითადი პროცესი - საგანმანთლებლო პროცესი - ნაწილობრივ აღწერილია სკოლის შინაგანაწესში და სსგ-ში. მაგალითად, დისციპლინური წარმოება ჩანს - შინაგანაწესში, პროცესები (საკადრო პოლიტიკა, საქმისწარმოების პროცესები და სხვა) აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში , როგორიცაა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ხელშეკრულებები და შინაგანაწესი აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას და შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). საქმისწარმოების პროცესები ეფუძნება საქმისწარმოების წესს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში ფუნქციონირებს საჩივრების განხილვის გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, აღნიშნულისთვის სკოლაში მოქმედებს საჩივრის განხილვის წესი, რომელიც მოიცავს საჩივრის შეტანის, განხილვის, გადაწყვეტილების მიღებისა და უკუკავშირის ეტაპებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით თანაბრად. სკოლისა და თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. მშობლის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის რეგულაციები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის შინაგანაწესი;
სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025;
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
საჩივრებისა და განცხადების განხილვის წესი;
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში, იმართება მშობელთა კრებებები, რომლებზეც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე, აწვდიან ინფორმაციას დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებების შესახებ და წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. სკოლის სამივე სართულზე განთავსებულია საინფორმაციო დაფები, სკოლა ინფორმაციის გაზიარებისა და უკუკავშირის მისაღებად აქტიურად იყენებს ელექტრონულ პლატფორმას, როგორიცაა : სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი, სკოლის facebook გვერდი, ასევე სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია წინადადებების ყუთი, სადაც მოსწავლეებს ანონიმურად შეუძლიათ საკუთარი მოსაზრებების განთავსება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

პედაგოგიური საბჭოს ოქმები;

სამეურვეო საბჭოს ოქმები;

სკოლის ფეისბუქ -გვერდი;

მოსწავლეთა თვითმართველობის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■-შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლის სასწავლო კორპუსი აღჭურვილია ვიდეო სათვალთვალო კამერებით. უცხო პირთა გადაადგილებას სკოლაში აკონტროლებს სართულის მორიგე მასწავლებლები და, დერეფნებში გამოკრულია მასწავლებელთა მორიგეობის სია. სკოლას ჰყავს მანდატური, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოების დაცვას.

საევაკუაციო გეგმა განთავსებულია შენობის სამივე სართულის დერეფანში. სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების გეგმა, რომელიც გაგზავნილია და შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. ასევე სკოლის მიერ გაგზავნილია წერილი სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნითსკოლამ წარმოადგინა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნა, რომელის მიხედვითაც შენობაზე არსებული დაზიანებები შენობის მდგრადობისათვის საფრთხის შემცველი არ არის.

აღსანიშნავია, რომ სკოლის ეზოში განთავსებულია ღია აუზი, რომელიც ამ პერიოდში არ არის მოქმედი და ასევე არ არის გადაფარებული და წარმოადგენს საფრთხეს, ექსპერტთა ვიზიტის დროს გამგეობის წარმომადგენელთან შეთანხმებით დაიწყო აუზის ამოვსების პროცესი.

ასევე მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით გასათვალისწინებელია შენობაში არსებული სპროტული დარბაზი, რომელსაც აქვს დიდი მინის ფანჯრები და არ არის დაცული ბურთის მოხვედრის შემთხვევისას. ასევე ვიზიტის დროს დაფიქსირდა სპორტულ დარბაზში ჩასასვლელი კიბეების დაზიანებები.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია: სკოლის ეზოში განთავსებული უმოქმედო ღია აუზის დეტიროტიის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე სპორტული დარბაზის ფანჯრებისათვის ბურთებისაგან დამცავი საფარის მოწყობა.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში ორგანიზებულია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ეფექტური სისტემა. სკოლის ძირითადი კორპუსის სამედიცინო კაბინეტი სრულად არის აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.
სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექთანი, რომელიც უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას საჭიროების შემთხვევაში. კანონმდებლობის შესაბამისად სკოლას 348 მოსწავლეზე უნდა ემსახურებოდეს ექიმი, თუმცა რამდენჯერმე ჩაშლილი ექიმის ვაკანსიისგამო, სკოლამ მიმართა სამინისტრის აღნიშნულთან დაკავშირებით და მიიღო თანხმობა შესაბამისი კვალიფიკაციის ექთნის დასაქმებასთაზე.
ინდიკატორის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლის ძირითად ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ხორციელდება სკოლის მანდატურისა და უსაფრთხოების სისტემების მეშვეობით. ასევე კორიდორებში მოქმედებს მასწავლებლების მორიგეობის სისტემა. სკოლას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული ქცევის წესები, რომლებიც გაწერილია შინაგანაწესში და გაცნობილია ყველა მოსწავლის, თანამშრომლისა და მშობლისთვის. სკოლის ტერიტორიაზე შესვლა კონტროლდება, უცხო პირების დაშვება ხდება მხოლოდ წინასწარი რეგისტრაციით.შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, წარმოდგენილი დოკუმენტაციით მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება კლასის ხელმძღვანელების მიერ კლასის საათზე.
ინდიკატორის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა ქმნის გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სივრცის შექმნას. სკოლაში მოქედებს კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მექანიზმები, როლის ფარგლებშც რეგულარულად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად.
ასევე მანდატურის სამსახური ახორციელებს საჭიროების შემთხვევაში რეფერირებას, ჩართული არიან პროცესში სპეციალური მასწავლებელი, ასევე _ საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის გადამისამართება მოხდება მანდატურის სამსახურთან არსებულ ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრში.

ინდიკატორის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია 4 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი.

ინდიკატორის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას აქვს ბრძანებით დამტკიცებული ,, პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები'',სადაც განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები და პრინციპები , მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, განსაზღვრულია სკოლის რომელ თანამშრომელს აქვს წვდომა კონკრეტულ მონაცემზე და სხვ. მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება და შეთანხმება ასევე მოიცავს რეგულაციებს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში დაცულია ინფორმაცია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების შესახებ. სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი" და დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების

დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული.

ინდიკატორის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა წარდგენილია პირველად ავტორიზაციაზე, რის გამოც ინდიკატორის მოთხოვნა არ შეფასდა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დამლაგებლებთან გაფორმული ხელშეკრულები;
დარაჯთან გაფორმებული ხელშკრულება;
ექთანთან გაფორმებული ხელშკრულება;
პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების დოკუმენტი;
შესაბამისობის გეგმა.
შენობის მდგრადობის დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა მდებარეობს 6802.00 კვ.მ. მიწის ფართობზე, მიწის ფართობზე განთავსებულია 5 შენობა, აქედან ძირითადი შენობა რომელშიც ხორციელდება სასწავლო წპოცესი 3490.99 კვ.მ ფართობის, გარე საპირფარეშო (რომელიც ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს), საქვაბე, ერთი შენობა, რომელზეც მიმდინარეობს მოლაპარაკება უსასყიდლოდ გადაცემასთან დაკავშრებით. ძირითადი შენობა არის სამ სართულიანი, პირველი სართულის ფართია - 1166.17 კვ.მ სადაც განთავსებულია სპორტული დარბაზი, 2 მცირე სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, ბუფეტი, ექიმის კაბინეტი, 3 საკლასო ოთახი, სველი წერტილი გოგონებისათვის (2 ადგილიანი), ვაჟებისათვის (3 ადგილიანი), სველი წერტილი მასწავლებლებისათვის, ადაპტირებული; მეორე სართულის ფართია - 908,75 კვ.მ სადაც განთავსებულია ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და 9 სასწავლო ოთახი; მეორე სართულის ფართია - 906,95 კვ.მ სადაც განთავსებულია მანდატურის ოთახი, 7 სასწავლო ოთახი, რესურს ოთახი და ერთი დამხმარე ოთახი; სარდაფი - 509.12 კვ.მ.

სკოლაში სწავლობს 348 მოსწავლე, სკოლას აქვს საკმარისი რაოდენობის მერხები, სკოლაში სწავლება მიმდინარეობს პროგრამის სამივე საფეხურზე. სკოლა თითქმის სრულად ფლობს შესაბამის ინფრასტრუქტურას სასწავლო პროცესის ავტორიზაციის ვადით განხორციელებისათვის მას მფლობელობაში აქვს 19 საკლასო ოთახი, 49 კომპიუტერი, 451 მაგიდა სკამი, 19 დაფა. აღსანიშნავია, რომ სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისთვის განკუთვნილი ლაბორატორია და აღნიშნულით უზრუნველყოფა გაიწერა შესაბამისობის გეგმაში 2 წლის ვადაზე. ექსპერტების ვიზიტის დროს, შენობის მესამე სართულზე უკვე გამოყოფილი იყო ოთახი, სადაც განთავსდება ლაბორატორია.

რეკომენდაცი: სკოლამ სრულად მოაწყოს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისთვის განკუთვნილი ლაბორატორია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლის შენობაში არის საერთო სარგებლობის სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო. სკოლის ფოიე, დერეფნები, ერთი დიდი ზომის და ორი მცირე ზომის დარბაზი სასპორტო აქტივობებისთვის, სააქტო დარბაზი და ეზო იძლევა საშუალებას სხვადასხვა აქტივობისს ჩასატარებლად და სრულფასოვანი დასვენებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც მოიცავს ბიბლიოთეკის ფუნქციებს, მკითხველთა უფლებების, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს, მკითხველთა პასუხისმგებლობასა და მოვალეობებს, ბიბლიოთეკარის მოვალეობებს მკითხველთა მომსახურეობისას. წესის მიხედვით დამუშავებულია და აღრიცხულია მატერიალურად წიგნების მხოლოდ ნაწილი.თუმცა ადგილზე ვნახეთ მუშაობის პროცესი და ამ დროისთვის აღრიცხულია 2365 წიგნი. სკოლა გეგმავს საბიბლიოთეკო ბონდის ელეტრონული ბაზის გაკეთებასაც. ამ ეტაპზე სკოლის ბალანსზე არის 11420 ერთეული წიგნი, მათ შორის მხატვრული - 7167 და 4253 სასკოლო სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკა მუშაობს შაბათ-კვირის გარდა 9:00 დან 15:00 საათამდე და აღჭურვილია მოსწავლეთა სხვადასხვა სახის ლიტერატურით. ამასთანავე სკოლას გადმოცემული აქვს სოფლის ბიბლიოთეკის წიგნთა ფონდი, რომელიც ჯერ არ არის შენობაში შემოტანილი, თუმცა დირექციის განცხადებით მასწავლებლები მიდიან ადგილზე და იყენებენ აღნიშნულ რესურსს. აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დიდ ნაწილს შეადგენს წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, რომელთა გამოყენებაც შეუძლებელია მათი სიძველიდან გამომდინარე. სკოლა გეგმავს მათ ჩამოწერას.

რჩევა - სასურველია ბიბლიოთეკარმა ელექტრონულად აღრიცხოს ყველა წიგნთა ფონდით გათვალისწინებული ყველა სახელმძღვანელო , აღრიცხვაზე აიყვანოს სოფლის ბიბლიოთეკის წიგნთა ფონდი და ჩამოწეროს ძველი წიგნები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ადაპტირებულია. სკოლის პირველ სართულზე შემოსასვლელ სივრცეში არის დასხმული პანდუსი. ასევე შენობის პირველ სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილი. შენობის მესამე სართულზე მოწყობილია რესურს ოთახი. სკოლაში ამ ეტაპზე ირიცხება 6 სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე თუმცა არ ფიქსირდება შშმ პირი. სკოლაში მოქმედებს ინკლუზიური განათლების გუნდი, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სრულფასოვან ჩართულობას სასწავლო პროცესში.

სკოლას არ აქვს მოწყობილი პანდუსები შენობის მეორე, მესამე და მეოთხე სართულზე დამაკავშრებელ კიბეებზე, თუმცა წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლა მაქსიმუმ 2 წლის განმავლობაში უზრუნველყოფს პანდუსების მოწყობას.

ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული

რეკომედაცია: პანდუსების მოწყობის უზრუნველყოფა შენობის მეორე და მესამე სართულზე დამაკავშრებელ კიბეებზე.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით სხვადასხვა კლუბებს და აქტივობას სთავაზობს მოსწავლეებს და ამისთვის იყენებს სკოლის ფოიეს და დერეფნებს, დარბაზს, საკლასო ოთახებს და კაბინეტებს. მათი ნაწილი ინიცირებულია უშუალოდ მოსწავლეთა ჩართულობით. სპორტული ღონისძიებები იმართება სპორტულ დიდ და მცირე ზომის დარბაზებში. ამ გზით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას.

სკოლის ფოიეებშ მრავლად არის გამოფენის სივრცეები მოწყობილი, სადაც გამორრულია მსოწავლეთა სხვადასხვა თემატიკაზე მომზადებული ნამუშევრები ნამუშევრები და პროექტები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

რეესტრი

შესყიდვების დოკუმენტაცია

შესაბამისობის გეგმა

ბიბლიოთეკის დებულება
პირადი საქმე

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
■ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

სკოლა სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს და შესაბამისი ინფრასტრუქტურაც ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე სკოლაში დასაქმებული თანამშრომლებისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს ტექნოლოგიებით აღჭურვილი ოთახი. მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 29 პერსონალური კომპუტერი. სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის აღწერიდან ჩანს, რომ ამ ეტაპზე სკოლას აქვს საკმარისი კომპიუტერების რაოდენობა, კერძოდ 49 პერსონალური კომპიუტერი, 6 პროექტორი, 2 პრინტერი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ისე პერსონალისთვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. კაბინეტის კედელზე გამოკრულია კომპიუტერის უსაფრთხოდ გამოყენებისა და ჯდომის წესები, ასევე შემუშავებულია კომპიუტერული ლაბორატორიის არასაგაკვეთილო დროს გამოყენების განრიგი.

გასაუბრებიდან დგინდება, რომ საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ ნებისმიერ მოსწავლეს ან/და მასწავლებელს შეუძლია სკოლის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება განრიგის შესაბამისად, როგორც საშინაო დავალებების შესასრულებლად, ისე პრეზენტაციების, ონლაინ ჟურნალში სამუშაოდ და ასევე ტრენინგების ჩასატარებლად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტები);
კომიუტერული ლაბორატორიის მოხმარების წესი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას და ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. მისი ფუნქციები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად eflow -ს სისტემაში აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო

ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე დოკუმენტბრუნვის სისტემა eflow. სადაც ხდება შემოსული და გასული კორესპონდენციის ელექტრონული წარმოება, დირექტორის ბრძანებების, სამსახურეობრივი ბარათების და წერილების ასახვა. ანგარიშები. სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა: **dirbi@mes.gov.ge**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. Eschool-ის ბაზაში სკოლისათვის გამოყოფილი ყველა სივრცე შევსებულია შესაბამისი ინფორმაციით. ინფორმაციის განთავსება ხდება დადგენილი წესითა და ვადებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე, მიმართავს საქართველოს განათლების, და ახალგაზრდობის სამინისტროს, ასევე, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. სკოლა კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად კონტროლის განმახორციელებლ უწყებებს წარუდგენს ანგარიშებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საქმისწარმოების წესი;
შემოსული და გასული კორესპონდენციები და ჟურნალები;
ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული პროფილი;
ელექტრონული ფოსტა: ***dirbi@mes.gov.ge***

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლის აქვს- ვებ გვერდი მისამართით: https://skolebi.emis.ge/, სადაც განთავსებულია გარკვეული სახის ინფორმაცია. გარდა ამისა, სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, სადაც გახსნილი აქვს თავისი გვერდი. სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც მუდმივად ხდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეების გამოქვეყნება. ასევე დამრიგებლის სამუშაო გეგმა განსაზღვრავს დამრიგებლის ვალდებულებას, მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდეს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების, დისციპლინისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. ინფორმაციის გაზიარების მიზნით სკოლა ამ ეტაპზე იყენებს ოფიციალურ ვებ.გვერდს, სოციალურ ქსელს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. სკოლის ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით, ჩანს რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდიდან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად . სკოლამ განახორციელა მოსწავლეთა დისტანციური გამოკითხვა, რომლის ფარგლებშიც მიღებული ინფორმაციის გადამუშავების საფუძელზე სკოლამ დაამტკიცა 7 წლიანი (2025-2032) სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლა სწავლება ახორციელებს ქართლ ენაზე და შესაბამისად სკოლის ვებ.გვერდზე განთავსებული აქვს ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური კომუნიკაციისთვის, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ.გვერდზე განთავსებული ინფორმაცია შეიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებების. ასევე განთავსებულია სკოლის სტრუქტურის დოკუმენტი, 7 წლიანი სამოქმედო გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა, საჩივრების და განცხადების წარდგენის წესი, სკოლის საკონტაქო ინფორმაცია, საგანმანათლებლო სტატუსი. საიტზე მოკლედ აღწერილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

skolebi.emis.ge ვებ-გვერდი;

მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილი;

სკოლის ელექტრონული ფოსტა;

მონაცემთა შეგროვება და ანალიზის მასალები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- ■ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდების სამინისტროსგან სკოლას ერიცხება მასწავლებელთა სახელფასო თანხა. ასევე სასწავლო პერიოდში სკოლას იჯარით ჰქონდა გაცემული ფართი. სკოლას თანხის

განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სწავლა-სწავლების პროცესს და სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ სხვა აქტივობებს/ღონისძიებებს.

გასაუბრების შედეგად და სკოლის ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში შესყიდვების გეგმაში შედის ცვლილება კანონის შესაბამისად. წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბის საჯარო სკოლის 2024-2025 წლის ბიუჯეტი;

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბის საჯარო სკოლის 2024-2025 შესყიდვების გეგმა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

დირბის საჯარო სკოლაში "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად მოქმედებს შიდა რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას . სკოლის შინაგანაწესი და ქცევის კოდექსი განსაზღვრავს მოსწავლეთა უფლებებს. შინაგანაწესში განსაზღვრული არის მოსწავლეთა დისციპლინური წარმოების წესი, წახალისების ფორმები და ა. შ . დოკუმენტში ჩადებული არის გასაჩივრების მექანიზმები.
დირბის საჯარო სკოლის კლასის დამრიგებლის მუშაობის დებულება მოიცავს მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვის უზრუნველყოფის შესაბამის შინაარსს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი და მოსწავლეთა ქცევის კოდექსი სკოლას გამოკრული აქვს თვალსაჩინო ადგილას. გარდა ამისა სასკოლო საზოგადოების წევრებთან მისი გაზიარების საშუალებებად სკოლა კლასის მოსწავლეების მშობელთა კრებებს მიიჩნევს. სკოლის

კლასების დამრიგებლები და მასწავლებლები მზადყოფნას გამოთქვამენ დაინტერესებულ მხარეებს ყოველთვის მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია. სკოლასა და მშოველს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს სკოლის შინაგანაწესის გაცნობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სკოლის საქმიანობას, მახრეთა უფლება-მოვალეობებს, მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დამუშავებას და გასვლით ღონისძიებებს, სასწავლო დღეების, დასვენების დღეების და უქმე დღეების შესახებ ინფორმაციას, ხელშეკრულების მოქმედების ვადასა და ხელშეკრულების შეწყვეტის წესს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის შინაგანაწესი;
მოსწავლეთა ქცევის კოდექსი;
დამრიგებლის დებულება;
მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მობილობა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად. სკოლამ აგრეთვე წარმოადგინა ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ადგილზე დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებას აწარმოებს კანონმდებლობის შესაბამისად.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა მოსწავლის მშობლებს /კანონიერ წარმომადგენლებს სასწავლო წლის დასაწყისში აცნობს შინაგანაწესს, შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეებისათვის ხელმისაწვდომია. სკოლა აწვდის ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებას მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების შესახებ მშობელთა კრებებსა და სოციალური ქსელის საშუალებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მაქსიმალურად ცდილობს, მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ იყოს ობიექტური და სწორი, არ შელახოს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები. სკოლის შესახებ სიახლეებს მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები ეცნობიან მშობელთა კრებებიდან, საინფორმაციო დაფაზე გამოკრული ინფორმაციიდან სკოლის სოციალური გვერდიდან და კლასის დამრიგებლების მიერ შექმნილი დახურული ჯგუფებიდან. ასევე სკოლაში მოქმედებს ეთიკის კოდექსი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაციის შესაბამისობას ზემოაღნიშნულ პრინციპებთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/ აღდგენისა და შეჩერების წესი;
სკოლის ვებ გვერდი და სოციალური ქსელი;
მშობლეთან დადებული ხელშეკრულებები;
საერთო ბრძანებები;
შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლაში მქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,მოსწავლის ადაპტაციის წესი", სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის დადებული ხელშეკრულება და კლასის დამრიგებლის დებულება, რომლებიშიც გაწერილია სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები. მოსწავლის ადაპტაციის წესი უშუალოდ ითვალისწინებს პრიველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა და მობილობით გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციის საფეხურებს, ასევე მოსწავლეთა მიღება, სწავლის დაწყების პირველი დღის სავარაუდო აქტივობებს, წარმატებული ადაპტაციის ნიშნებს, რეკომენდაციებს მოსწავლის წარმატებული ადაპტაციისას პროცესის უზრუნველსაყოფად, დეადაპტაციის ნიშნებს და დეადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელი ღონისძიებებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. კლასის დამრიგებლის მიერ ხდება პირველკალსელთა და ამასთანავე სკოლაში მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა სკოლის ტერიტორიის დათვალიერება, ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის მიერ შექმნილი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმი და დამრიგებლის დებულება ითვალისწინებს მოსწავლეთა სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში. გასაუბრებით დგინდება, რომ სემესტრის მიმდინარეობისას კლასის დამრიგებელბი სისტემატიურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში ხდება მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობები,

მოტივაციის ამაღლების მიზნით მათი ჩართვა სასკოლო ღონისძიებებში და საგანამანთლებლო პროექტებში. ასევე მოსწავლეთა აკადემიური საჭიროებების შესაბამისად, შემუშავებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული, ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლაში ფუნქციონირებს კალიგრაფიის კლუბი, სტემ კლუბი, რომელთა ფარგლებშიც მოსწავლეებს აქვთ გამოფენები საკუთარი ნამუშევრების. ასევე სკოლაში მქომედებდა ფასიანი წრე დირექციის გაცხადებით

მოსწავლეთა ინიციატივების წახალისება და მხარდაჭერა ნათლად ჩანს სკოლის ადმინისტრაციის მიერ მოსწავლეთა თვითმმართველობასთან აქტიურ თანამშრომლობაში - მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სკოლის თვითმმართველობაში და მონაწილეობენ პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა რეგულარულად იღებს უკუკავშირს მოსწავლეებისგან, მშობლებისგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან ელექტრონული გამოკითხვების, შეხვედრებისა და მრგვალი მაგიდის დისკუსიების საშუალებით. მიღებული ინფორმაცია საფუძველი ხდება იმისა, რომ სკოლამ დაგეგმოს სასწავლო პროცესი და არაფორმალური აქტივობები მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სადამრიგებლო დებულება და საქმიანობა;

სასკოლო სასწავლო გეგმა;

არაფორმალური აქტივოების ამსახველი დოკუმენტაცია;

მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;

განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები სოციალურ ქსელში;

შინაგანაწესი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და მათ მიერ წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანის „კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა - უზრუნველსაყოფად" სკოლა მაქსიმალურად ცდილობს მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლეებს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის შესახებ. ინტერვიუს პროცესში დირექტორმა ასევე განაცხადა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში

საშუალო საფეხურის მოსწავლეები შეხვდნენ უნივერიტეტის წარმომადგენლები, ხოლო მომავალი სასწავლო წლიდან უშალოდ იგეგმება აქტიური კომუნიკაცია სასწავლო კოლეჯებთანაც (აღნიშნული შესაძლოა განხორციელდეს სკოლის ყოფილი მოსწავლის ფინანსური დახმარებით).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

ინტერვიუს პროცესში სკოლის წარმომადგენლებმა, განაცხადეს, რომ სკოლა გეგმაზომიერად და სისტემატურად აწვდის მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. მომავალი სასწავლო წლიდან აქტიურად დაიგეგმება საინფორმაციო შეხვედრები, სადაც წარმოდგენილი გან იქნება ახლებული ინფორმაცია უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების, მათი პროგრამების, მისაღები გამოცდების და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

მოსწავლეებისგან მიღებული უკუკავშირი სკოლას საშუალებას აძლევს გაითვალისწინოს მოსწავლის ინტერესები და მომავალი თანამშრომლობა მოსწავლეებთან დაგეგმოს მათ მიერ მიღებული უკუკავშირის შედეგებზე დაყრდნობით. 2024-2025 სასწავლო წელს სკოლამ ელექტრონულად გამოკითხა მოსწავლეები, რომლის ფარგლებშც შეფასდა განხორციელებული პროგრამების რელევანტურობა და ეფექტურობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დამრიგებლების პროტფოლიო;
კალიგრაფიის კლუბის სამუშაო მასალები;
სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მასალები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 25 მარტის N 2-20 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბის საჯარო სკოლის სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები“, რომელიც აღწერილია სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების, ასევე სსსმ სატტუსის მოხსნის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების , სკოლის ვალდებულებები და სსსმ მოსწავლის კონფიდენციალობის უზრუნველყოფის რეგულაცია. ინკლუზიური განათლების შესახებ სკოლას გათვალისწინებული აქვს ერთწლიან სამოქმედო გეგმასა და 2024-2025 წ. სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლაში შექმნილია პროფესიონალთა გუნდი, რომელშიც შედიან: სპეციალური მასწავლებელი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი და საჭიროების შემთხვევაში - სხვა სპეციალისტები.

სკოლაშ ამჟამად ირიცხება 6 სსსმ მოსწავლე. თითოეული სსსმ მოსწავლისთვის შექმნილია ისგ, რომელიც მორგებულია მის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და რეგულარულად განიცდის განახლებას პროგრესის მონიტორინგის საფუძველზე. სკოლაში მოწყობილია სპეციალური კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

.

სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის აქტიურ ჩართულობასა და თანამშრომლობის პრინციპებს. ინკლუზიური განათლების წარმატებით განხორციელებისთვის რეგულარულად ტარდება ისგ-ს გუნდის შეხვედრები, სადაც განიხილება მოსწავლის პროგრესი და განისაზღვრება შემდგომი ნაბიჯები. მშობლები წარმოადგენენ პროცესის აქტიურ მონაწილეებს - ისინი ჩართულნი არიან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანატოლებთან პოზიტიური ურთიერთობების სასწავლო პეოცესის დროს, მასწავლებლები მაქსიმალურად ცდილობენ, აქტიურად ჩართონ მოსწავლეები საკლასო პროექტების შექმნის პროცესში, აღნიშნულთან დაკავშირებით მათ დეტალურად ისაუბრეს ინტერვიუირების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია და წესი;
ისგ ჯგუფის ოქმები;
ინდივიდუალური სამოქმედო გეგმები.

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა სასწალო წლის დასრულებამდე მოსწავლეებს სთავაზობდა კვების სერვისს, ასევე მუსიკალურ და სპორტულ მომსახურეობას. სკოლის დირექტორის განცხადებით კვების და მუსიკალური წრის მომსახურეობისთის 2025-2026 სასწავლო წლიდან კვლავ გაიცემა იჯარით შესაბამისი ფართი. სკოლას იჯარით ჰქონდა სამი ფართი გაცემული ფიზიკურ პირზე, რომელებიც მომსახურებას ახორციელებდა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. იჯარით ფართის გაცემა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით. სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ იჯარით გასაცემ ფართზე მიღებულია თანხმობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან და ეკონომიკური განვითარების სამინისტროსგან. აუდიტის დასკვნის საფუძველზე განისაზღვრა იჯარით გასაცემი ფართის ღირებულება და აუქციონში გამარჯვებულ ფიზიკურ პირთან გაფორმდა ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპზე. ყველა შეთავაზებული დამატებითი სერვისი არის მიმართული მოსწავლეთა აკადემიური, სოციალური და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობისკენ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

დირექციის განცხადებით ყველა აქტივობას, რომელსაც სასწავლო დროს ახორციელებს სკოლა, იცავს მოსწავლის უსაფრთხოების ნორმებს და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. აქტივობებისთვის გამოყოფილი სივრცეები აღჭურვილია უსაფრთხოების საჭირო საშუალებებით და რეგულარულად მოწმდება. ყველა დამატებითი აქტივობის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და ინდივიდუალური საჭიროებები, რაც უზრუნველყოფს მათ ჰარმონიულ განვითარებას და კეთილდღეობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ინდივიდუალურ პირთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

შეფასება:
- ხელშეკრულებები
-

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, მოწოდებული დოკუმენტაცია და სამივე საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგები იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. საგნების პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს, მსჯელობენ მათთვის საინტერესო საკითხებზე და მიდიან კონსესუსამდე. გასაუბრების პროცესი მასწავლებლები საუბრობენ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, ამის დასტურად, სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კათედრის სხდომის ოქმები, სადაც ასახულია კურიკულუმის შემუშავების პროცესი .

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

კურიკულუმის შემუშავების პროცესი სკოლაში ერთნაირი მეთოდოლოგიით მიმდინარეობს და მის შემუშავებაში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეთა როლები შემდეგნაირადაა გადანაწილებული: პედაგოგების ვალდებულებები: - უნდა აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით; უნდა მიიღოს მონაწილეობა კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში უნდა გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რომლებსაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს. კათედრის თავმჯდომარის ვალდებულებები: უნდა შეათანხმოს კათედრის წევრებთან, თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებით და რა ინტენსივობით უნდა შეაგროვონ პედაგოგებმა მონაცემები საკუთარი მოსწავლეების მიღწევების / სასწავლო პროცესის შესახებ; უნდა შეაგროვოს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილი მასალები და ფასილიტაცია გაუწიოს კათედრის სხდომებს; უნდა უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, დათქმულ ვადებში სკოლის დირექციას უნდა მიაწოდოს შეთანხმებული ინსტრუმენტების საფუძველზე მომზადებული მასალები, რომლებიც სასწავლო პროცესის შესახებ შეიცავს ინფორმაციას; მონაწილეობა უნდა მიიღოს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. სკოლის დირექცია - კურიკულუმის დანერგვის პროცესში სკოლის დირექციის ფუნქციაა უხელმძღვანელოს ხარისხის მართვის პროცესს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

კურიკულუმი ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისათვის. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მოხდება სასკოლო კურიკულუმის და მისი დამხმარე მასალების ხელმისაწვდომობის გაზრდა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის (საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, ფორმალური და არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალებები და ა. შ.)

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი, საშაუალო და საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

- დაწყებითი, საშუალო და საბაზო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩო;
- შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- პედაგოგიური საბჭოს სხდმის ოქმი;
- კათედრის შეხვერის ოქმები;

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბის საჯარო სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის სხდომის ოქმი №1

- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.**

სსიპ ქარელი მუნიციპალიტეტის სოფელ დირბის საჯარო სკოლის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სამივე საფეხურზე თითოეული საგანში შემუშავებული კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები მოიცავს სავალდებულო თემებს, რომლის ფარგლებშიც მუშავნდება სამიზნე ცნებები. შუალედურ სასწავლო მინზნად გაიხილება შემოქმედებითი დავალებები, რაც თავის მხრივ, მიემართება გრძელვადიან სასწავლო მიზნებს და ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. მასწავლებლებს მიეცათ რჩევები, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ კურიკულუმის შემოშავების პროცესში, გასაუბრების შედეგები კი ცხადყოფს, რომ მათ აქვთ მოცემული რჩევების გათვალისწინების მზაობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოები მოიცავს ესგ - ით განსაზღვრულ კომპონენტებს. წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, რომლებიც მუშავდება სავალდებულო თემების ფარგლებში. საკითხი/საკითხთა კლასტერები იმგვარად არის დალაგებული, რომ მოსწავლის საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები შესაძლებლობას იძლევა ესგ-ით განსაზღვრული კომპონენტები დამუშავდეს. კურიკულუმებში გათვალისწინებულია საგნობრობრივი თემები. კათედრას განსაზღვრული აქვს შუალედური მიზნები, რომლთა დამუშავებაც ხდება შემოქმედებითი პროდუქტებით. კათედრას წარმოდგენილი აქვს საკითხთა კლასტერები, რომლის ფარგლებშიც მუშავდება სამიზნე ცნებები. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. ***<u>რჩევა :</u> სასურველია, საგნობრივი კურიკულუმები იყოს ერთი სტრუქტურის და ამასთან ერთად გამორჩენილი გრაფები შეივსოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ასევე სასურველია, რომ კურიკულუმის ჩარჩოში ასახული შემოქმედებითი დავალების ეტაპებად ჩაშლილი დოკუმენტი გამომდინარეობდეს ჩარჩოში მოცემული დავალებებიდან.***
უცხოური ენები	სამივე საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმი შემუშავებულია საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებსა და მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. შუალედურ სასწავლო მიზნებად განიხილება შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელიც მოსწავლეთა საჭიროებებს და ინტერესებს ითვალისწინებს.
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივი (მუსიკა/ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებში უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი პროდუქტის ტიპის დავალებებს, რომლებიც განიხილება, როგორც შუალედური სასწავლო მიზნი, მიემართება გრძელვადიან მიზნისკენ და ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე.

სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ შემუშავებულ სამივე საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე, შემოქმედებითი დავალებები უზრუნველყოფს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებასა და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. კურიკულუმის ჩარჩოებში სწორად არის გაწერილი ყველა სავალდებულო ველი. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს პედაგოგებმა, კურიკულუმების რევიზია ხდება სასწავლო წლის ბოლოს და სექტებრისთვის იგეგმება მოდიფიცირება რევიზიის შედეგების გათვალისწინებით.
მათემატიკა	მათემატიკის სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ისეა შემუშავებული, რომ ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, მათში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. კურიკულუმი საშუალებას აძლევს მოსწავლეს მათემატიკის სწავლება მოარგოს საკუთარი სწავლა/სწავლების პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, საკითხთა კლასტერი ორიენტირებულია შესაბამისი საფეხურის და საგნის სწავლების გრძელვადიანი მიზნებზე. სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნას, მათ ინტერესებს, ასაკობრივ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებს და მოსწავლეებისთვის რეალურად მიღწევადია. მოსწავლეებში კვლევითი უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარების მიზნით სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს პროექტების ჩართვას სასწავლო პროცესში. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილ კომპლექსური ტიპის დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე.

	<u>რჩევა:</u> სასურველია, დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იყოს ტანვარჯიშის სწავლება. საბაზო და საშუალო საფეხურზე დაემატოს თემა: მძლეოსნობა.
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სტანდარტების შესაბამისად, იგი ორიენტირებულია საგნის მიმართულებებზე, გრძელვადიან მიზნებსა და შუალედურ სასწავლო მიზნებზე. შუალედურ სასწავლო მიზნებად განიხილება შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელიც მოსწავლეთა საჭიროებებს და ინტერესებს ითვალისწინებს, რითაც კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში კლასების მიხედვით წარმოდგენილი კურიკულუმები სტრუქტურირებულია, თემების მიხედვითაა დალაგებული და მიემართება სამიზნე ცნებებს. კურიკულუმები შეესაბამება მოსწავლის ინტერესებს, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები. წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალების ბარათები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას და საჭიროებებს.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბის საჯარო სკოლის სამივე საფეხურის საგნების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს , რაც თავისთავად გულისხმობს სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებას, მოსწავლის წინარე ცოდნიდან ნაბიჯ-ნაბიჯ მისვლას ახალი ცოდნის აღმოჩენამდე და ამ ცოდნის ცხოვრებასთან ტრანსფერით. საგნობრივ ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია სამიზნე ცნებებზე. სკოლაში არსებობს არაფორმალური განათლების გამოცდილებაც საკლუბო მუშაობის სახით. მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითი უნარის გამოყენება, გუნდური და ჯგუფური სამუშაო განუვითარებს

თანამშრომლობის უნარს, ხოლო რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მოსწავლის ხასიათს და პიროვნებას ჩამოაყალიბებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმების ჩარჩოები სტრუქტურირებულია და მოიცავს ესგ -ით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებს, რაც გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირების საშუალებას იძლევა. უმეტესწილად კარგად არის შერჩეული კონტექსტ-მაგალითები. კომპლექსური დავალების იდეებიც განსაზღვრულია და შემოქმედებითი პროდუქტებიც ისახება, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა შექმნან. *<u>რჩევა:</u> ყურადღება მიექცეს შედარების მაგალითების კომპონენტს. წარმოდგენილი მაგალითები უმეტესად არის საკითხი, შეკითხვა ან საეტაპო აქტივობა. განიხილეთ იგივე საკითხი (რასაც შეისწავლით კომპლექსური დავალების ფარგლებში), სხვა კონტექსტში წარმოდგენილი. მაგალითად: ბიოლოგიის კურიკულუმში შესასწავლი საკითხი - მიკროორგანიზმების როლი, განხილულია შემდეგ კონტექსტში - მიკროორგანიზმები , ბუნების დიდი მესაფლავეები. შედარების მაგალითშიც ისევ ეს კონტექსტია წარმოდგენილი. შეიძლება იყოს ასე: მიკროორგანიზმები კვების მრეწველობაში.*
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში ასახულია სამიზნე ცნებები, რომლებიც მუშავდება საგნორბივი საკითხების გავლის დროს. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმბში გამოყოფილია საკითხთა კლასტერები და შედარება მაგალითებისთვის, რაც შემდგომში მუშავდება შემოქმედებითი დავალებებით. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. *<u>რჩევა:</u> სასურველია, რომ საკითხთა კლასტერები და შედარება მაგალითებისთვის ერთმანეთს უფრო მეტად მიემართებოდეს, ასევე შესაძლებელია საგნობრივი ცნებები უფრო*

	მეტად მოერგოს საგნობრივ საკითხებსა და გადანაწილდეს ისე რომ კონკრეტული ცნება/ცნებები საკითხის ფარგლებში მკაფიოდ მუშავდებოდეს, იგივე ეხება კონტექსტ მაგალითებს. *ისტორიის საგნობრივი კურიკულუმი სასურველი და შესაძლებელია ისე მოდეფიცირდეს, რომ მასში მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი საგნოვრივი საკითხები, რომლებიც თემებშია წარმოდგენილი და ამასთან ერთად განისაზვროს რომელი ცნებები მუშავდება საკითხებთან მიმართებით.* *ჩვენი საქართველოს სასწავლო კურიკულუმებში სასურველია შეიცვალოს საკითხთა კლასტერები და კონტექსტ მაგალითები, რასაც დაეფუძნება შემოქმედებითი ტიპის დავალება .*
უცხოური ენები	ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალურ უნარებსა და მაკრო ცნებებს. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეებს, რომ ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება ახალი ცოდნისა და სხვადასხვა უნარის გასავითარებლად (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, ეთიკა, პასუხისმგებლობა, წაახალისებენ მათ გააზრება-გაცნობიერებას და სრულყოფას). *<u>რჩევა:</u> მასწავლებლებს მიეცათ რჩევა მოახდინონ ცნებების დამუშავება სხვადასხვა თემის ფარგლებში.*
ესთეტიკური აღზრდა	შექმნილი კურიკულუმები (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზანს, სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან გამოიყენოს ახალი ცოდნა და

	უნარები..კურიგულუმები ძველ ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენების პრინციპით არის შექმნილი. თუმცა უნდა აღინიშნოს რიგი რეკომენდაციები: სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში დაწყებით და საბაზო საფეხურზე სავალდებულოა სამი თემატური ბლოკის დაფარვა დაწყებითი კლასის მეორე და მესამე კლასის კურიკულუმებში მხოლოდ ორი თემატური ბლოკია დაფარული, ასევე დაწყებით კლასებში მცირე რაოდენობით არის თემები დაფარული, რაც გამოიწვევს დროის დატოვებას აკადემიური საათების კურიკულუმის გარეშე წარმართვას. საშუალო საფეხურზე, სადაც ხორციელდება პროექტული სწავლება მუსიკაში და ხელოვნებაში , არ არის კურიკულუმი წარმოდგენილი, თუმცა მტკიცებულების სახით მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ მოსწავლის ნამუშევარი. ***<u>რჩევა:</u> კურიკულუმის შედგენის დროს სასურველია გაითვალისწინებული იყოს საათობრივი ბადე და პედაგოგებმა იმის მიხედვით შეადგინონ დაწყებით საფეხურზე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში სავალდებულოა სამი თემატური ბლოკი , რომელიც უნდა იყოს სრულად დაფარული;*** ***საათობრივი ბადის გათვალისწინებითაა შესადგენი კურიკულუმი;*** ***საშუალო საფეხურზე, სადაც ხორციელდება პროექტული სწავლება (მუსიკა/ხელოვნება) სასწავლო წლის მანძილზე უნდა განხორციელდეს თითოეულ საგანში ორი პროექტი, საჭიროა მათი კურიკულუმების შექმნა.***
სახელმწიფო ენა	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სახელმწიფო კათედრის მიერ გამოგზავნილ კურიკულუმებში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. დაგეგმილი შემოქმედებითი ტიპის დავალებები თავისი ბუნებით

	ხელს უწყობს მოსწავლეების მაღალი სააზროვნო უნარის განვითარებას. სახელმწიფო ენის კათდრაზე ფუნქციონირებს კალიგრაფიის კლუბი, რომელიც წლების განმავლობაში უწყვეტად ემსახურება მოსწავლეთა შემოქმედებით განვითარებას და თანხვედრაშია გრძელვადიან მიზნებთან.
მათემატიკა	მათემატიკის სამივე საფეხურის კურიკულუმები ორიენტირებულია შესაბამისი საფეხურის და საგნის სწავლების გრძელვადიან მიზნებზე. სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება კომპლექსური დავალებების საშუალებით. მათემატიკის სამივე საფეხურის სასწავლო კურიკულუმებზე, განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებზე, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების ოქმებზე, კოლეგების და დირექციის შეფასებებზე, ხარისხის ჯგუფის დასკვნებზე და მასწავლებელთა ინტერვიუებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გაცილებით უკეთ აქვთ სასწავლო პროცესი სკოლაში დაყენებული, ვიდრე ერთი შეხედვით წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან შეიძლება ჩანდეს, ისინი სრულფასოვნად არიან გარკვეული თემებში, ქვეთემებში, საკითხებში, საკითხთა კლასტერებში, სამიზნე ცნებებში, კარგად აქვთ დამუშავებული შეფასების კრიტერიუმები, აქტიურად ამზადებენ მოსწავლეებს მათემატიკური ოლიმპიადებისთვის, ყავთ მათემატიკურ ოლიმპიადებში გამარჯვებულები, დაგეგმილი აქვთ მათემატიკური კლუბის გახსნა, მათემატიკის საგნობრივ წრეებში აქტიური მუშაობა და ა.შ. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
სპორტი	კურიკულუმის ჩარჩოში არის ასახული სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები, სამიზნე ცნება/ცნებები, განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სპორტული ინვენტარი და სასწავლო ელექტრონული რესურსები. კომპლექსური ტიპის დავალებები შესაძლებლობას იძლევა მოსწავლის მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში, რაც განაპირობებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე გასვლას.

	<u>რჩევა:</u> სამივე საფეხურზე კურიკულუმით განსაზღვრულ თემებს , სასურველია დაემატოს როგორც ფიზიკურ აქტივობაზე ორიენტირებული თემები, ასევე თემა, რომელშიც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება, (თეორია) რათა თემების საათობრივი ჯამი და საგნის წლიური საათების რაოდენობა თანხვედრაში იყოს ერთმანეთთან.
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც დასტურდება წარმოდგენილ კურიკულუმებში, კათედრის სხდომის ოქმებსა და დავალების ბარათებში კომპლექსური ბუნების დავალებებით სახით
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებში თემები ძირითადად გაწერილია საგნობრივი სტანდარტების მიხედვით, თუმცა ბუნებისმეტყველების III და IV კლასში თემები არ შეესაბამება საგნობრივ სტანდარტს და სკოლას მიეცა **რჩევა** აღნიშნულის გასწორების. ქართულის I კლასში თემები არ იყო წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში. გასაუბრებაზე სკოლას მიეცა რჩევა რომ გაესწორებინა, რაც დამატებით დოკუმენტაციაში მეტ-ნაკლებად გასწორებულია. გრძელვადიანი მიზნები და შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით. ბუნებისმეტყველების II კლასში, კურიკულუმზე მიბმულია ეტაპებად ჩაშლილი კომპლექსური დავალებები, თუმცა კურიკულუმში არაა ასახული და სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გაითვალისწინონ აღნიშნული. ქართულის შემთხვევაში ცნებები ყველა თემაში არ არის გაწერილი, ამიტომ სკოლას მიეცა **რჩევა** ყველა თემაში მოხდეს ცნებების დამუშავება.

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბის საჯარო სკოლის სამივე საფეხურის საგნების კურიკულუმებში წარმოდგებილი სასწავლო რესურსი უზრუველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გავთვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში საგანმანათლებლო რესურსად , ძირითადად, წარმოდგენულია გრიფირებული სახემლძღვანელოები, თუმცა რიგ შემთხვევებში, სხვადასხვა საგნის ფარგლებში, ვხდებით დამატებით ვიდეო/აუდიო/ფოტო რესურსებსაც, წარმოდეგნილია სხვა ციფრული რესურსები და პლატფორმები. რესურსები თემების მიხედვით განაწილებულია/წარმოდგენილია ისე, რომ თითოეული მათგანი მიზნად ისახავს კონკრეტული სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევას. მიუხედავად ამისა, მასწავლებლებს მიეცათ რჩევები გრიფმინიჭებული სახემლძღვანელობის კურიკულუმში სწორად წარმოდგენის თაობასა და რესურსების გამრავალფეროვნების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია სხვადსხვა რესურსი, როგორც სახელმძღვანელო, ასევე ციფრული რესურსები და პლატფორმები. ***<u>რჩევა:</u> კურიკულუმებში დაკონკრეტდეს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების რეკვიზიტები, ავტორი/ავტორები, გამომცემლობა, გამოცემის წელი.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში წარმოდგენილია სასწავლო რესურსები, რომლებიც იძლევა საშუალებას დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი შედეგები. კურიკულუმებში წარმოდგენილია, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოეები ასევე დამატებითი ვიდეო/აუდიო/ფოტო რესურსები. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

	<u>რჩევა :</u> სასურველია კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები გამრავლფეროვნდეს და ამასთან ერთად ჩაიშალოს საკითხთა კლასტერებისა და კონტექტს მაგალითების მიხედვით.
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის. მასწავლებლებს აქვს საშუალება სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაძლებლობების, დასწავლის მეთოდების შესაბამისად გამოიყენოს მრავალფეროვანი რესურსი. სკოლა ძირითადად იყენებს გრიფმინიჭებულ სასკოლო სახელმძღვანელოებს, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსს (მათ შორის, ელექტრონულს, რომლის ბმულები წარმოდგენილია კურიკულუმებში), პოსტერებს, მოსწავლეების მიერ შექმნილ რესურსს, რაც ადასტურებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ სასწავლო კურიკულუმებით გათვალისწინებული სწავლების შედეგების მიღწევას.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები ჩაშენებულია ბმულების სახით,რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი დამატებით კიდევ სხვა რესურსებსაც იყენებენ, რომლებიც გათვალისწინებულია სწავლი შედეგების მიღწევაზე.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები მრავალფეროვანია. გრიფირებული სახელმძღვანელობის გარდა კურიკულუმებში მითითებულია დამხმარე რესურსი, წიგნები და ელექტრონული სხვადასხვა სახის მასალა. რაც, ვფიქრობ, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

მათემატიკა	სკოლის მიერ შემუშავებული სამივე საფეხურის მათემატიკის კურიკულუმების ძირითად სასწავლო რესურსს წარმოადგენს საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გრიფირებული მათემატიკის შესაბამისი კლასების სასკოლო სახელმძღვანელოები და სამინისტროს მიერ რეკომენდირებული დამხმარე მეთოდური ლიტერატურა, მოსწავლეთა რვეულები, სამინისტროს და ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული მეთოდური ლიტერატურა, თვალსაჩინოებები, პოსტერები, განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები, პროექტები, ასევე შესაბამისი სახის ელექტრული რესურსები და ა.შ. თითოეულ თემაზე გამოსაყენებელი სასწავლო და დამხმარე მეთოდური ლიტერატურა, ელექტრული რესურსები მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია და ორიენტირებულია მოსწავლეთა ასაკობრივ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებზე, ეხმარება მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ მათემატიკის სასწავლო პროცესში, რაც მოსწავლეებს გაიყვანს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგებზე. მიმაჩნია, რომ თუ მასწავლებელი მიზანმიმართულად შეარჩევს და მათემატიკის სასწავლო პროცესში ჩართავს თითოეული თემის შესაბამის არასტანდარტულ ან/და საძიებო მათემატიკურ ამოცანებს, მიღწეული იქნება მოსწავლეებში არა მარტო მათემატიკური ცოდნის უფრო მაღალი დონე, არამედ ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას და განვითარებას.
სპორტი	სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა, კურიკულუმში ასახულ თემებთან გაწერილი შესაბამისი სპორტული ინვენტარი, სასწავლო ელექტრონული რესურსები და სახელმძღვანელოები, საკმარისია მოსწავლის მიერ კურიკულუმით ასახული თემებში სწავლის შედეგების მისაღწევად.
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, School.emis.ge , Minecraft, Scratch და სხვა.

	უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ემსახურება კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული სამიზნე ცნებ(ებ)ის დამუშავებას. რესურსები თემების მიხედვით განაწილებულია/წარმოდგენილია ისე, რომ თითოეული მათგანი მიზნად ისახავს კონკრეტული სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევას.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

<u>სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბის საჯარო სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.</u> კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებსა და ზოგადად, სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას. სკოლა აცნობიერებს, რომ ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სწავლა-სწავლების დიფერენცირებული მიდგომა გულისხმობს გარემოსა და სტრატეგიების იმ სახით ორგანიზებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების იდეები. კომპლექსური დავალებები კი , იმთავითვე გულისხმობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების გათვალისწინებას. . რაც შეეხება ინკლუზიურ მიდგომებს, სსსმ მოსწავლეებთან მუშაობაში აქტიურად არის ჩართული სპეც. მასწავლებელი. სკოლას ჰყავს ასევე სპეც. მასწავლებლის დამხმარე. სსსმ მოსწავლეებისათვის, საგნების მიხედვით, შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და სწავლება ხორციელდება აღნიშნული გეგმების შესაბამისად. რის მტკიცებულებად სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ მიერ ხდება მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინება სხვადსხვა გზით - ინდივიდუალური დავალებების შერჩევა, სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალების შეთავაზება. წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობითა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოვლინდა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომას, რაც წარმოდგენილია ადაპტირებული სასწავლო კურიკულუმით, რომელიც ემიზენაბა მოსწავლის საჭიროებებს, ინტერესებს, მზაობასა და შესაძლებლობებს. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგები წინა წლის გათვალიწინებით მოდიფიცირებას უკეთებენ სასწავლო კურიკულუმებს, რაც იძლება ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას.
უცხოური ენები	წარმოდგენილ დოკუმენტაციზე დაყრდნობით, სკოლაში, ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების მიღება ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით. სწავლების პროცესში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები. წლის დასაწყისში, მოსწავლეთა შესაძლებლობების, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, მასწავლებლები ინკლუზიური განათლების მიმართულებით ჩართულ სპეციალისტებთან ერთად შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, ქმნიან ისეთ შემოქმედებითი/ კომლექსური ბუნების დავალებებს, რომლის ადაპტირება და მოდიფიცირება მარტივად შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში. უცხოური ენების კათედრამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებშიც მკაფიოდ განსაზღვრულია: სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები რომლებიც განსაზღვრულ სასწავლო შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს.

ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილ კურიკულუმებში (მუსიკა,ხელოვნება) იკვეთება შეთავაზებული დავალებების კომპლექსური ხასიათი, მოცემულ დავალებებზე დაყრდნობით მოსწავლეს შეუძლია გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება. მასწავლებელებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ,რომ სასწავლო პროცესში ხდება მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად. მოსწავლეებს ეძლევა სხვადასხვა სირთულის დავალებები და რესურსები, რომელიც მორგებულია მის შესაძლებლობაზე, ხორციელდება დიფერენცირებული ტიპის დავალებები.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას. ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომა განუყოფელი ნაწილია სასწავლო პროცესის. გასუბრებისას ნათელი გახდა, რომ კათედრის წარმომადგენლები იცნობენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს, აცნობიერებენ ინკლუზიური განათლების მნიშვნელობას და სასწავლო პროცესს გეგმავენ შესაბამისად. სასწავლო წლის დასაწყისში ადგენენ ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას, მოსწავლეებს სთავაზობენ მათი შესაძლებლობის გათვალისწინებით ადაპტირებულ დავალებებს, რის საშუალებითაც გადიან დასახულ შედეგზე.
მათემატიკა	ინკლუზიური განათლების მხრივ სკოლა მოსწავლეებს თავაზობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს. □კოლა ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფს განათლების მიღებას ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, ახორციელებს მოსწავლეთა მხარდაჭერას, ისწავლონ, წვლილი შეიტანონ და მონაწილეობა მიიღონ სკოლის ცხოვრების ყველა ასპექტში. სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფი, რომლებიც ახდენენ მოსწავლეებისთვის ძირითადი საჭიროებების განსაზღვრას, სსსმ მოსწავლისათვის საგნების მიხედვით საწავლო მიზნებისა და სტრატეგიების შეთანხმებას, სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობებზე მორგებული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას, საჭიროების შემთხვევაში დასახული მიზნის მისაღწევად მოსწავლესთან დამატებითი მეცადინეობების ჩატარებას, ინდივიდუალური გეგმის განხორციელების მონიტორინგს. სკოლის შიდა და გარე გარემო მორგებულია მოსწავლეთა

	საჭიროებებზე. მათემატიკის სამივე საფეხურზე მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებულ სწავლებას. მოსწავლეებისთვის მიცემული საშინაო, დამოუკიდებელი, თუ კომპლექსური დავალებები მორგებულია მათ შესაძლებლობებზე. რის გამოც დავალებების შესასრულებლად გამოყოფილი დროის შუალედების განსაზღვრა ინდივიდუალურად ხდება. .
სპორტი	საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების ფორმები, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული რესურსები, ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგები მაქსიმალურად ცდილობენ შეიტანონ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეზე ორიენტირებული ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებზე გათვლილი აქტივობები .
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტები: ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, კურიკულუმებისა და კათედრის სხდომის ოქმები, ადასტურებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას. ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომა განუყოფელი ნაწილია სასწავლო პროცესის. სკოლაში ვიზიტისას ნათელი გახდა, რომ ტექნოლოგიის მასწავლებელი იცნობს დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს, აცნობიერებს ინკლუზიური განათლების მნიშვნელობას და სასწავლო პროცესს გეგმავს შესაბამისად.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, გასაუბრების დროსაც მათ ისაუბრეს კონკრეტულ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილებასა და დავალებების ადაპტირებაზე. თუმცა უშუალოდ ისგ-ში წარმოდგენილი ცნებები არასწორადაა მითითებული, სკოლას მიეცა რჩევა გაასწორონ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცნებები, რათა შეძლონ სწორად დაგეგმონ სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესი. . დიფერენცირებული მიდგომა გათვალისწინებულია კურიკულუმებში სხვადსხვა ჟანრის, თემის თუ დავალებების შეთავაზების პროცესში.

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლ დირბის საჯარო სკოლაში შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. თავდაპირველად გამოგზავნილ დოკუმენტაციაში სკოლად არ ჰქონდა წარმოდგენილი განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. დამატებით დოკუმენტაციაში სკოლამ წარმოადგინა რამდენიმე რუბრიკა,სხვადასხვა საგნის ფარგლებში. (ესთეტიკის კათედრას არ წარმოუდგენია შეფასების რუბრიკები, თუმცა კურიკულუმებს თან ახლავს თემატური მატრიცები, რომლებიც ისეა შედგენილი რომ მოიაზრებს შეფასების რუბრიკებს.) ასევე გასაუბრების დროს, გაირკვა, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკებზე მუშაობის გამოცდილება, რაც დასტურდება გასაუბრების შემდგომ გამოგზავნილ დოკუმენტაციაში. თუმცა სკოლას მიეცა რჩევები როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სასურელია, რომ განმავითარებელ შეფასებას არ ჰქონდეს მხოლოდ ზეპირსიტყვიერი სახე, შეიქმანს მათი ფორმები და საჭიროებისამებრ, მიაწოდონ მოსწავლეებსა და მშობლებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოსწავლეთა შეფასება ეფუძნება ესგ მოთხოვნებს. შეფასება მიემართება ესგ სამიზნე ცნებებს და ატარებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ ხასიათს. განმავითარებელი შეფასება წარმოებს ზეპირსიტყვიერ დონეზე . ***<u>რჩევა:</u> მოწოდებულ დოკუმენტაციაში არსებული მოლოდინების ცხრილის მიხედვით (რომლებიც გაწერილია სამიზნე ცნებებთან მიმართებაში), შეიქმნას განმავითარებელი შეფასების ფორმები, რომლებსაც გარკვეული პერიოდულობით მიაწვდიან მშობლებს და მოსწავლეებს.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში შეფასება შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი რუბრიკები, რომლებიც აგებულია

	ცნებების მიხედვით და მინიჭებული აქვს ქულობრივი შეფასება. ამასთან ერთად მასწავლებელებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და გაცნობილი დოკუმენტების შესწავლს საფუძველზე გამოვლინდა, რომ კათედრა მუშაობს განმავითარებელი შეფასების მიმართულებითაც. შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ეყრდნობა გრძელვადიან სასწავლო მიზანსა და წარმოდგენილია ცნებებთან მიმართებით.
უცხოური ენები	დოკუმენტაციის შესაწვლის შედეგად დასტურდება, რომ მოსწავლეთა შეფასება შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. იგი უკავშირდება არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები სამივე საფეხურის შემთხვევაში. შეფასების ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას. საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი, შესაბამისად, დაწყებით საფეხურზე შეფასება ხდება მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაყრდნობით.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას არ აქვს მოწოდებული შეფასების რუბრიკები, თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ ისინი წინასწარ შედგენილი შეფასების რუბრიკებით ხელმძღვანელობენ . ასევე კურიკულუმებს თან ახლავს თემატური მატრიცები, რომლებიც ისეა შედგენილი რომ მოიაზრებს შეფასების რუბრიკებს. ***<u>რჩევა:</u> მოსწავლის შესაფასებლად წინასწარ უნდა შეიქმნას შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე, (განმავითარებელი/განმსაზღვრელი).***
სახელმწიფო ენა	სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება კონკრეტულ კომპლექსურ დავალებებს.

	შეფასების რუბრიკები კორელაციაშია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან.
მათემატიკა	სკოლიდან დამატებით გამოთხოვილი იქნა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები საფეხურზე ერთი კლასის მაინც, რადგან მათემატიკის კურიკულუმებში მართალია მოცემული იყო როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასები, მაგრამ მიმოფანტული იყო კურიკულუმებში და სისტემური აღქმის შესაძლებლობებს ნაკლებად იძლეოდა. ამ საკითხებზე ყურადღება გავამახვილეთ ინტერვიუს დროსაც. მასწავლებლებმა გამოავლინეს სათანადო ცოდნა და გამოცდილება შეფასების რუბრიკების მიმართ. დამატებით წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შეესაბამება მოთხოვნებს. მათ ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შეფასებების შემუშავებაში მონაწილეობენ არა მარტო კოლეგა მასწავლებლები, დირექცია, ხარისხის ჯგუფი, არამედ მოსწავლეებიც და მათი მშობლებიც. მათ წინასწარ აცნობენ შეფასების რუბრიკებს, რაც ხელს უწყობს მთლიანად საგანში შეფასების გამჭვირვალობას და სანდოობას.
სპორტი	კურიკულუმებში გაწერილი თემებთან და დაგეგმილი შუალედურ მიზნებთან დართული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, პედაგოგები აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერ კომენტარებს. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური თვისებების და ორგანიზებულობის, თვითკონტროლის განვითარებაზე.
ტექნოლოგიები	სამიზნე ცნებებზე დაფუძნებული განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების, დავალების ბარათებისა და სხვათა შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ მოსწავლეთა შეფასება შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას ყველა საგანში წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მორგებულია კონკრეტულ კომპლექსურ დავალებას და მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ(თუმცა ბუნებისმეტყველებაში ცნებები არასწორად აქვთ რუბრიკაში მითითებული და სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნულის გასწორების) ასევე კათედრას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა ურთიერთშეფასების ინსტრუმენტები და შეფასების ზოგადი დოკუმენტები, რაც ეხმარებათ შედეგების განსაზღვრაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი, საშაუალო და საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ოქმები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დახურვის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრებისა და ურთიერთშეფასების ამსახველი დოკუმენტი ;
- დიაგნოსტიკური წერის ამსახველი დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

○ *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

<u>სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბის საჯარო სკოლაში სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამსად,</u> რისი თქმის საფუძველსაც გვაძლევს პედაგოგებთან ინტერვიუები, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მოსწავლეთა ნამუშევრები,მოსწავლეების ქმნიან სხვადასხვა შემოქმედებუთ პროდუქტს. კათედრები ახორციელებენ სხვადასხვა პროექტს, სკოლაში არსებობს საკლუბო მუშაობის პრაქტიკა და მოსწავლეები მაქსიმალურად არიან ჩართულები ამ პროცესებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შემუშავებული კურიკულუმის მიხედვით. მოსწავლეები ქმნიან სხვადსხვა ტიპის შემოქმედებით პროდუქტს, ჩართულები არიან კლუბურ მუშაობაში. იკვეთება საგანთაშორისი ინტეგრაციის მიმართულება.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის გათვალისწინებით. სკოლა ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს. მასწავლებლები ურთიერთშეფასებისა და მოსწავლეთა ნაშრომებისა და დიაგნოსტირების საფუძველზე საჭიროებისამებრ მოდიფიცირებას უკეთებენ სასწავლო კურიკულუმს, რაც შემდეგში იძლევა საშუალებას მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები. ამასთან ერთად კათედრა მუშაობს დიაგნოსტიკური წერების მიმართულებიც, რითაც ადგნს მოსწავლეთა საჭიროებებს და აკადემიურ შესაძლებლობებს, რის საფუძველზე აკეთებს კურიკულუმის რევიზიაის. სკოლა აქტიურად მუშაობს მოსწავლეთა ჩართულობისა და მათი მოტივაციისთვის. კათედრა აქტიურად ანხორციელებს სხვადასხვა პროექტებსა და იყენებს შემოქმედებითი დავალებებით სწავლების მიდგომას.
უცხოური ენები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს, ჩანს კავშირი სამიზნე ცნებებს, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) შორის. წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების და პროექტული ტიპის დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ. სწავლა- სწავლების პროცესი მიმდინარეობს დაგეგმილი კურიკულუმების შესაბამისად, თუმცა მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე ასევე ხდება გარკვეული

	აქტივობების მოდიფიცირება. წლის ბოლოს, კათედრის წევრები განიხილავენ შედეგებს და მიღებული დასკვნების საფუძველზე გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმებს.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმზე დაყრდნობით და ასევე ინტერვიუს პროცესის დროს ნათლად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შემოქმედებით პროცესში . პედაგოგებმა ისაუბრეს მათ მიერ განხორციელებულ სხავადასხვა აქტივობებზე, (სასკოლო გამოფენები, სხვადასხვა ღონისძიებების მუსიკალურად გაფირმება) რაც იძლევა იმის დასკვნის საფუძველს , რომ სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის შესაბამისად.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, კერძოდ, კურიკულუმები, ურთიერთდაკვირვების ფორმები, კათედრის სხდომის ოქმები, შეფასების რუბრიკები, დიაგნოსტიკური შეფასების ნიმუშები, ინდივიდუალური სამოქმედო გეგმები მეტყველებს იმაზე, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის შესაბამისად. რაც ასევე კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა.
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესის შეფასების დოკუმენტაციაზე, მათემატიკის მასწავლებლების თვითშეფასებაზე, ურთიერთშეფასებაზე, დირექციის შეფასებაზე, შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავადგინოთ, რომ სასწავლო პროცესი მათემატიკაში დაგეგმილია და მიმდინარეობს შესაბამისი კლასის სასკოლო კურიკულუმის მიხედვით. კურიკულუმებში განთავსებული კომპლექსური დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში. მოსწავლეების აზროვნების განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვს განსახორციელებელ შემოქმედებით დავალებებსა და პროექტებს. სკოლის მათემატიკის მასწავლებელთა გუნდის გამოცდილება და მეთოდურად განსწავლულობა საშუალებას იძლევა მაქსიმალურად ჩართონ მოსწავლეები სასწავლო პროცესში. სკოლა მათემატიკის მასწავლებლებს და მოსწავლეებს უქმნის ყველა პირობას მათემატიკის სასწავლო პროცესი წარიმართოს

	შესაბამისი კლასის მათემატიკის სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც წარმატებით ხორციელდება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
სპორტი	სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის სასწავლო პროცესი შესაბამისობაშია კურიკულუმში ასახულ თემებში სამიზნე ცნებების და საკითხების შესაბამისად.
ტექნოლოგიები	სკოლაში ტექნოლოგიის საგნის სწავლის პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი სასწავლო პროცესის შეფასების დოკუმენტაცია. კათედრის სხდომის ოქმებისა და შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავადგინოთ, რომ სასწავლო პროცესი ტექნოლოგიებში დაგეგმილია და მიმდინარეობს შესაბამისი კლასის სასკოლო კურიკულუმის მიხედვით. კურიკულუმებში განთავსებული კომპლექსური დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრასთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახორციელებენ იმ კურიკულუმებს, რომლებიც წარმოდგენილი აქვთ. წლის დასაწყისში და ბოლოს ხდება კათედრის შეხვედრა და კურიკულუმების განხილვა. მეოთხე კლასში წარმოდგენილი აქვთ დიაგნოსტირების ნიმუშები, რისი ანალიზის მიხედვით გეგმავენ მომავალი კურიკულუმების დაგეგმვას.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

<u>სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბის საჯარო სკოლაში შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.</u> მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ შეფასების კრიტერიუმებში უნდა აისახებოდეს

მოსწავლეთა ძალისხმევა, პასუხისმგებლობა, ჩართულობა, რათა მოსწავლესა და სასკოლო საზოგადოებას ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სანდოა. კერძოდ, სკოლა საუბრობს შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების ხელშეწყობაზე, რის დასტურია შეფასების სისტემის შემუშავებული მეთოდოლოგია. მტკიცებულებად სკოლის მიერ წარმოდგენილია მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. თუმცა მიუხედავად წარმოდგენილი დოკუმენტაციისა, საგნობრივ კათედრებს მეტი მუშაობა სჭირდებათ განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკების დახვეწაზე, ესთეტიკის კათედრას კი შესამუშავებელი აქვს შეფასების რუბრიკები, რადგან შეფასების კომპონენტი მხოლოდ თემატურ მატრიცებში აქვთ წარმოდგენილი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შეფასების სისტემა შეესაბამება ესგ მოთხოვნებს, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში ჩანს ქულობრივი განაწილება სამიზნე ცნებების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას ინდიკატორი მოთხოვნებთან. ***<u>რჩევა:</u> განმავითარებელი შეფასების ნაწილში სკოლას მიეცა რჩევა, დოკუმენტაციაში წარმოდგენილი მოლოდინების ცხრილის მიხედვით შექმნას განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეფასების გამჭვრივალობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმების, კათედრის სხდომების ოქმების, შეფასების რუბრიკების, ურთიერთშეფასების, თვითშეფასებისა და სხვა დოკუმენტაციის გაცნობისას და მასწავლებელთა ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა აქტიურად მუშაობს შეფასების სისტემის დახვეწასა და განვითარებაზე. კათედრამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, რომლებიც იძლევა საშუალებას სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების სისტემა და რუბრიკები მოსწავლეებისთვის ხელმისწავდომია. ამასთან ერთად გამოვლინდა, რომ შეფასების სისტემის კიდევ უფრო მეტად

	გაუმჯობესებისთვის პედაგოგები სასწავლო წლის დასაწყისში შემოქმდებით პროდუქტთან მიმართებით ქმნიან განმსაზღვრელ და განმავითარებელ რუბრიკებს. ***<u>რჩევა:</u> სასურველია, უფრო მეტად დაიხვეწოს შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები და მათში მკაფიოდ იყოს ასახული კონკრეტული ინდიკატორები, რომლებიც შესაბამისი ზმენებით (დაკავშირება, შეფასება, გაანალიზება და ასე შემდეგ) იქნება წარმოდგენილი.*
უცხოური ენები	კათედრას გაწერილი აქვს შეფასების სისტემა სწავლების სამივე საფეხურზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ საგნობრივი კათედრები ურთიერთთანამშრომლობით ქმნიან კონკრეტული სასწავლო აქტივობის (შემაჯამებელი დავალება, სასწავლო პროექტი, კომპლექსური დავალება და სხვ.) შეფასების რუბრიკებს, რომელიც ეყრდნობა შეფასების მთავარ პრინციპებს. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია მოსწავლეებს გააცნოს ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შეფასდებიან მოსწავლეები სხვადასხვა ტიპის დავალებებზე მუშაობისას, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას. მნიშვნელოვანია რომ, შეფასება მიემართება ესგ-ში განსაზღვრულ საფეხურეობრივ შედეგებს კონკრეტულ სამიზნე ცნებებთან მიმართებით, რაც უზრუნველყოფს მის სანდოობას, ვალიდურობასა და ობიექტურობას.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას ცალკე შექმნილი შეფასების რუბრიკები არ არქვს არც მუსიკაში და არც ხელოვნებაში, არცერთ საფეხურზე, მასზე საუბარი მხოლოდ თემატური მატრიცების საშუალებით შეგვიძლია, რადგან მისი კომპონენტები ავტომატურად მოითხოვს შეფასებას. არსებული შეფასება კი სანდროა ვალიდური და გამჭვირვალეა.
სახელმწიფო ენა	სკოლას აქვს წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის ვდებულება. ასევე, კურიკულუმებზე, ურთიერთდაკვირვების ფორმებზე, სადიაგნოსტიკო შეფასებასა და განმავითარებელ და

	განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმების, მათემატიკის კათედრის სხდომების ოქმების, შეფასების რუბრიკების, ურთიერთშეფასების, თვითშეფასების, სხვა დოკუმენტაციის გაცნობისას და მასწავლებელთა ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემის სამართლიანობა, გამჭვირვალობა, ვალიდურობა, ობიექტურობა და სანდოობა პირდაპირ კავშირშია მოსწავლეების მიერ დავალებებში სამიზნე ცნებების/ქვეცნებების, საკითხების სრულყოფილ და გააზრებულ ათვისებასთან. გარდა ამისა, სკოლის აქვს მასწავლებლების, მოსწავლეების და მათი მშობლების ერთობლივად შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლითაც მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმა იციან კონკრეტული თემის შეფასების დროს საკითხის/მოქმედების/ამოცანის ამოხსნის ცოდნა როგორ, რამდენი ქულით ფასდება. ეს ხელს უწყობს ცოდნის შეფასების სისტემის გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას, სამართლიანობას და ვალიდურობას.
სპორტი	სკოლის მიერ მოწოდებული ფიზიკური აღზრდის და სპორტის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში, გასაგებად არის გაწერილი თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები(გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), მოსწავლეების შეფასება ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობების შეფასებით. მოსწავლეებს აცნობენ თუ რა კრიტერიუმებით შეფასდება ფესტივალებზე მათი შედეგები.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებით, კათედრის სხდომების ოქმებით, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, სხვა დოკუმენტაციით, ასევე მასწავლებელის ინტერვიუებით, ცხადი გახდა, რომ საგანში შეფასების სისტემა ემყარება სამართლიანობის, გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის

	პრინციპებს. რაც უშუალოდ დაკავშირებულია მოსწავლეების მიერ დავალებებში სამიზნე ცნებების/ქვეცნებების, საკითხების სრულყოფილ და გააზრებულ ათვისებასთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებსაც კათედრა არგებს კონკრეტულ დავალებას, აცნობს მოსწავლეს და იყენებს დავალებაზე მუშაობის პროცესში. როგორც გასაუბრებიდან გამოჩნდა კათედრა დიდ ყურადღებას აქცევს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლიანობას.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბის საჯარო სკოლაში ფუნქციონიერებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელშიც გაწერილია ვერიფიკაციის მიზნები, ამოცანები, ვერიფიკაციის პრინციპები და პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. ინფორმაცია დაცულია და ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით .

სკოლა იცავს დოკუმენტების წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება საკლასო ჟურნალები მატერიალური სახით. სკოლაში ასევე ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები.

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არქივში 3 წლის განმავლობაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში .**

სასწავლო პროცესში სკოლა იყენებს როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსსაც. დამხმარე სასწავლო რესურსები კი უწყობს ხელს სწავლა-სწავლების ეფექტიანობასა და მოსწავლეთა მიერ მიზნობრივი შედეგების მიღწევას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ჩანს მოსწავლეთა ნამუშევრებში.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული და დამატებითი დამხმარე რესურსების გამოყენებას. კურიკულუმში წარმოდგენილია დამატებითი რესურსების (ვიდეო/ფოტო/აუდიო) მასალა,

	რომლებიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, რასაც სკოლა უზრუნველყობს მატერიალური ბაზით, ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას გააჩნია ბიბლიოთეკა, სადაც თავმოყრილია სხვდასხვა დამხარე ლიტერატურა, რომელზეც წვდომა აქვს სასკოლო საზოგადოებას.
უცხოური ენები	საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია ძირითადი და დამხმარე რესურსის ჩამონათვალი და ბმულები. სკოლა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, რომელსაც მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში დაცულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი ლიტერატურა, სახელმძღვანელოები და პერიოდული გამოცემები, რომლებსაც კათედრის წევრები საგაკვეთილო პროცესში იყენებენ.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში ჩაშენებულია სასწავლო რეესურსები,როგორც ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოს , ასევე დამატებით რესურსების სახით .
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითად და დამხმარე რესურსებზე მოსწავლეებს აქვთ შეუზღუდავი წვდომა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პრეცესის შედეგიან და შეუფერხებელ წარმართვას. აღნიშნული დაადასტურეს სახემწიფო ენის კათედრის წევრებმა ინტერვუს დროს.
მათემატიკა	სკოლის ინფრასტრუქტურის გაცნობისას, მასწავლებელთა ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფილია მათემატიკის სასწავლო პროცესისთვის საჭირო ყველა ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსით. გარდა საქართველოს განათლების სამინისტროს გრიფირებული მათემატიკის საკლასო სახელმძღვანელოებისა, მასწავლებელთა წიგნებისა, მოსწავლეთა რვეულებისა, სკოლის მათემატიკის მასწავლებლების მიერ თემატიკის მიხედვით მათემატიკის სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება ხარისხის მართვის სამსახურის მიერ გამოცემული დამხმარე მეთოდური

	ლიტერატურა, ხანის აკადემიის, კარგი სკოლის და სხვ. შესაბამისი ელექტრული რესურსები, ვიდეო რგოლები სათანადო ვებ-გვერდების მითითებით, მაკეტები, პლაკატები, ნახაზები, ნახატები, გრაფიკები, წრიული და სვეტოვანი დიაგრამები, თვითნაკეთი ნივთები და ა.შ. სკოლას გააჩნია კომპიუტერები, აქვს ინტერნეტი, მაგრამ მათემატიკის მასწალებლებთან ჩემი ინტერვიუს დროს ინტერნეტკავშირი გაწყდა, რაც მოსაგვარებელია. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
სპორტი	სკოლაში არსებულ და კურიკულუმით ასახულ თემებში გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებს და სპორტულ ინვენტარს შესაბამისი გამოყენება აქვს სასწავლო პროცესში.
ტექნოლოგიები	სკოლის ინფრასტრუქტურის გაცნობის საშუალებით, ასევე მასწავლებელთან ინტერვიუეებით, გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნოლოგიის სწავლებისათვის საჭირო ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსებით. მასწავლებელი ორიენტირებულია განათლების სისტემაში არსებული სხვადასხვა ონლაინ პლათფორმების, აპებისა და ვიდეო მასალების გამოყენებაზე.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმის ანალიზმა და მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სწავლა-სწავლების ეფექტიანობასა და მოსწავლეთა მიერ მიზნობრივი შედეგების მიღწევას.

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას, რაც ხდება პედაგოგების ერთობლივი განხილვისა და ანალიზის შედეგად კათედრების შეხვედრებზე. პედაგოგები მსჯელობენ, რამდენად დაეხმარათ დამატებითი რესურსი სასწავლო მიზნების მიღწევაში. დამხმარე რესურსის შერჩევსას პრიორიტეტი ენიჭება ოფიციალურ ვებ-გვერდებს.

დადმატებით რესუსრსად გამოიყენებენ როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეების მიერ შექმნილ შემოქმედებით პროდუქტს, რომლებსაც პედაგოგები უზიარებენ ერთმანეთს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ შერჩეულია დამხმარე სასწავლო რესურსები, ციფრული რესურსები, პლატფორმები, ტელესკოლის გაკვეთილები და ა.შ. ეს ყველაფერი განისაზღვრება კურიკულუმების შესაბამისად და წარმოადგენს სასწავლო პროცესის წარმართვის საშუალებას. რესურსების შერჩევა და ვალიდაცია ხდება პედაგოგების ერთობლივი განხილვის და ანალიზის შედეგად.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს დამხამრე რესურსების მობილიზება და მათი გამოყენება, ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ითქვას, რომ სკოლის საკუთრებაში არსებული დამხარე სასწავლო რესურსების შევსება სისტემატურად ხორცილედება, რაც პირდაპირ ბმაშია სასკოლო კურიკულუმის შედეგებთან. სკოლაში არსებული რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. აღნიშნული მიმართულებით აქტიურად გამოიყენება ელექტრონული პლათფორმები. ასევე სკოლაში სასწავლო დამატებითი რესურსების სახით გამოიყენება პედაგოგების/მოსწავლეების მიერ შექმნილი შემოქმედებითი ტიპის პროდუქტები. .
უცხოური ენები	საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი. დამატებითი რესურსის შერჩევისას პრიორიტეტი ენიჭება ოფიციალურ ვებ-გვერდებს, საგანმანათლებლო მატერიალურ თუ არამატერიალურ რესურსს. კათედრის მიერ გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსს გავლილი აქვს შესაბამისი ვალიდაცია.

ესთეტიკური აღზრდა	როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდურობას.
სახელმწიფო ენა	დამხმარე რესურსების ვალიდურობას კათედრის წევრები განიხილავენ კათედრის სხდომაზე და შეთანხმებულად იღებენ გადაწყვეტილებას. შერჩეულ სახელმძღვანელოებსა და დამხმარე რესურსებს პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს.
მათემატიკა	სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზიდან ირკვევა, რომ სკოლაში არსებული დამხმარე სასწავლო რესურსზე წვდომა აქვს არა მარტო მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, არამედ მოსწავლეთა მშობლებს და საკოლო თემს. სკოლის მფლობელობაში არსებული დამხმარე სასწავლო რესურსის გამოყენება ხდება მხოლოდ და მხოლოდ მიზნობრივად, სასწავლო და არაფორმალურ გარემოში. სკოლა სისტემატურად ახდენს არსებული რესურსების შევსებას, განახლებას და ხელმისაწვდომობას.
სპორტი	სკოლაში არსებული და გამოყენებული დამხმარე რესურსები სპორტული ინვენტარის, ვალიდაცია ხდება კათედრასთან თანამშრომლობით.
ტექნოლოგიები	როგორც საგნის კურიკულუმიდან, ისე მასწავლებელთან გასაუბრებისას, ცხადი გახდა, რომ სკოლა ონლაინ პლათფორმათა, პროგრამებისა თუ აპების გამოყენებით ახერხებს დამხმარე სასაწავლო რესურსების ვალიდაციას სასწავლო მიზნებთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში დამხარე სასწავლო რესურსები ვალიდირებულია, რასაც ადასტურებს კათედრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

სკოლა აღჭურვილია შესაბამისი მარტერიალური რესურსით. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, (რომლის ფონდსაც გამდიდრება და გამრავალფეროვნება სჭირდება, თუმცა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის), კომპიუტერული ლაბპრატორია და სხვა მატერიალური რესურსები, რომელიც საჭიროა სასწავლო პროცესის განხორიციელებისათვის. სკოლას არ აქვს საბუნებსმეტყველო ლაბორატორია, თუმცა საგნის მასწავლებლები ძალისხმევას არ იშურებენ, რომ სასწავლო პროცესი იყოს საინტერესო და მრავალფეროვანი, ხელი შეუწყონ მოსწავლეებში კვლევითი უნარების განვითარებას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. ამის მიუხედავად პედაგოგები დიდ ძალისხმევას ხარჯავენ ამ დეფიციტის საკომპენსაციოდ. მაგ. სხვა სკოლიდან მოაქვთ ლაბორატორიული ხელსაწყოები, მაკეტები, პლაკატები, რეაქტივები. მაქსიმალურად ცდილობენ მოსწავლეები ამუშაონ მარტივი და უსაფრთხო ცდების ჩატარების მხრივ (სახლის პირობებშიც), რომ ხელი შეუწყონ მათში კვლევითი უნარების განვითარებას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა აღჭურვილია ყველა იმ სახის მატერიალური რესურსით, რომელიც საჭიროა კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისთვის. სკოლა უზურნველყოფილია ინტერნეტით, კომპიუტერებით, პროექტორით და სხვა მსგავსი ტიპის რესურსით.
უცხოური ენები	საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის, სკოლას აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას აქვს ინტერნეტი, კომპიუტერები, პროექტორები რომლით სარგებლობა განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სკოლის პერსონალისთვის.

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მიღწევა შესაბამისი მატერიალური რესურსით.
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფს მატერიალური რესურსით კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.
მათემატიკა	სკოლას აქვს მათემატიკის სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, რომელიც საკმარისი იქნება მაშინაც კი, თუ სკოლა შეივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობით. მასწავლებლებს საშუალება აქვთ გამოიყენონ ინტერნეტ-რესურსები, საჭიროების შემთხვევაში თვითონ შექმნან საჭირო გეომეტრიული სხეულების მოდელები და მაკეტები, ააგონ ფუნქციათა გრაფიკები, წრიული და სვეტოვანი დიაგრამები და სხვ. თვითნაკეთი თვალსაჩინოების შექმნაში აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეებიც, რაც დადასტურდა მათემატიკის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
სპორტი	სკოლაში არსებული სპორტდარბაზი, სპორტული ინვენტარი, გარე სივრცე მძლეოსნობისთვის, კომპიუტერები, საკმარისია მოსწავლეების რაოდენობის გათვალისწინებით სწავლის შედეგების მისაღწევად.
ტექნოლოგიები	სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპიუტერული ლაბორატორიით, მისი არსებული დამხმარე მოწყობილებით თუ სხვა მატერიალური რესურსებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი ძირითადი და დამატებითი რესურსები, კათედრას საშუალებას აძლევს მიაღწიოს ესგ-თი გათვალისწინებულ შედეგებს და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს კურიკულუმის განხორციელებისთვს საჭირო ადამიანური რესურსი, რომელიც შესაბამისია

კანონმდებლობასთან, ამის თქმის საშუალებას გვაძლევს მასწავლებელთა ელექტრონული ბაზა და მათთან გაფორმებული

ხელშეკრულებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებელთა ბაზა;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას აქვს შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია თუ როგორ ხორციელდება კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში ვკითხულობთ შემდეგს: „დანერგვის პროცესის აღწერაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების საშუალებით გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზე ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება.“ ასევე ერთწლიან სამოქმეო გეგმაში ვკითხულობთ, რომ სასწავლო პროცესის ამაღლებისთვის ერთ-ერთი ამოცანაა, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფაების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება. მონიტორინგის ანგარიშზე კი პასუხიმგებელი პირია დირქტრორი, თუმცა ამ ეტაპისთვის პროცესი არაა დასრულებული და ანგარიში არაა შექმნილი, თუმცა სასწავლო პროცესის დაწყებამდე მომზადდება ანგარიში, რომელიც გათვალისწინებული იქნება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმებში.

პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ხდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში - კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში, რომ მონიტორინგი და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემის გადაჭრისთვის, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის. იგივე დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც.

სკოლა, კურიკულუმის განხორიცელების მონიტორინგის გზით, მიზნად ისახავს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრასა და რეკომენდაციების პაკეტის შემუშავებას, რომელიც გამოყენებული იქნება ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების მისაღებად.

პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ხდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარება

კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება. სკოლის ხარისხის მართვის დოკუმენტშიც ვკითხულობთ შემდეგს: „მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ“. მასწავლებლებთან გასაუბრებით ასევე დგინდება, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა ეხმარება სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვას და სასკოლო საზოგადოების საჭიროებებზეა მიმართული.

პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ხდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთლწიანი საქმოქმედო გეგმა 2024-2025;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა სახის ინსტრუმენტს და სტრატეგიას მოსწავლეთა შესაფასებლად: მიმართავენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას, იყენებენ კომპლექსურ, თემის შემაჯამებელ და ყოველდღიურ საკლასო და საშინაო დავალებებს, ეს კი გვაძლევს იმისი თქმის შესაძლებლობას, რომ სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და აღნიშნული პრაქტიკა მომავალშიც გაგრძელდება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა ითვალსწინებს მრავალ კონტექსტს, ყურადღება ექცევა საკლასო გარემოს, სკოლის ინფრასტურქტურას, ოჯახურ და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, მათ შორის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს. ასევე გათვალისწინებულია სკოლის ადგილმდებარების თავისებურებები, კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი იყენებენ მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს, აკეთებენ სხვადასხვა ტიპის დავალებებს, ახდენენ პრეზენტირებას და ა.შ ეს ყველაფერი კი აძლევს მასწავლებელს საშუალებას უფრო მეტი გაიგოს მოსწავლის კოგნიტურ უნარებსა და ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. სამომავლოდ ეს პრაქტიკა შენარჩუნდება. დამკვიდრებული პრაქტიკა იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასებისას სკოლა გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ მასწავლებლები შეფასებისას ცდილობენ გაითვალისწინოს გარე ფაქტორები, რომელიც ახდენს გავლენას მოსწავლის შედეგებზე. ასევე ირკვევა და დოკუმენტაციიდანაც ჩანს, რომ პედაგოგიურ საბჭოზე და კათედრის სხდომებზე ხდება შეფასების შედეგების განხილვა და ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთა, ეს კი იძლევა იმისი თქმის შესაძლებლობას, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა აღნიშნულ საკითხს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- მასწაავლებლებთან გასაუბრების შედეგეები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის-განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად იკვეთება შემდეგი - სკოლას აქვს მზაობა შექმნას გარკვეული ტიპის მექანიზმი/საჭიროებათა პაკეტი, რომელიც ხელს შეუწყობს კურიკულუმის

განვითარებას და მის მორგებას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და მოსწავლეთა საჭიროებებზე. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ფასდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის წარმოდგენილი ვერსია გარკვეულწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას, რადგან სკოლაში არსებობს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, ეს შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს კურიკულუმების გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მომდევნო წლის კურიკულუმი მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების გათვალისწინებით იქნება შემუშავებული, შესაბამისად დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, რაც კათედრის წევრებთან გასაუბრებიდანაც დასტურდება. სკოლას აქვს მზაობა, საჭიროებისამებრ დაგეგმოს და განახორციელოს კურიკულუმის განვითარებისთვის საჭირო ცვლილებები. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ფასდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოოგია;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: